პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მ. ფლ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

№ 295 შაბათი, 22 დეკემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 295

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 10—49.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

10 დეკემბრისათვის ინგლისში ირიცხებოდა ერთი მილიონი და 180 ათასი უმუშევარი.

ინგლისის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ინგლისის მომავალი ახალი მთავრობის ნაბიჯი იქნება საბჭოთა კავშირის [illegible] ცნობა იურიდიულათ.

საფრანგეთში გარდაიცვალა პარიზის კომუნის მებრძოლი მოხუცი ლუი ჟირო.

მიუხედავათ იუზის განცხადებისა, ამერიკის პროგრესიული და სავაჭრო წრეები მომხრე არიან საბჭოთა კავშირის ცნობის.

ამ ნომერთან ერთად ხელისმომწერთ ურიგდებათ ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო დამატება „ჩირაღდანი" (№ 2).

საქ. საბჭოთა ყრილობისათვის

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების მეორე ყრილობა

მოწვეულია 1923 წლის 30 დეკემბრისთვის ქალ. ტფილისში.

დღის წესრიგი:

1. მუშათა და გლეხთა მთავრობის მოხსენება: ა) საქართველოს ცაკის ანგარიში, ბ) საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ანგარიში.
2. სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება.
3. საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია.
4. საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება.
5. საქართველოს ელექტროფიკაციის შესახებ.
6. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
7. მოხსენება მაზრების რაიონებათ დაყოფის და სამაზრო და სათემო აპარატების განმარტივების შესახებ.
8. მოხსენება ქართული ლაშქრის შესახებ.
9. განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება.
10. ს. ს. ცაკის არჩევნები.
11. ა. კ. საბჭოთა ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.

საქარ. ცაკის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წელს, 25 დეკემბერს
საღამოს 6 საათზე
სახელმწიფო ოპერის თეატრში დანიშნულია

ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების

მე-4-ე მოწვევის საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება აღმარჩევ კომისიისა.
2) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
3) მოხსენება მე-3-ე მოწვევის საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ.
4) არჩევნები.

781—3—2 ცენტრალური აღმარჩევი კომისია.

მოსკოვმა სთქვა თავისი სიტყვა

მოსკოვის ორგანიზაციის იაჩეიკების ბიუროს საერთო საქალაქო კრება, რომელიც გაიმართა იაჩეიკების და სარაიონო კოლექტივების კრებებზე წარმოებულ მთელ რიგ ვრცელ დისკუსიების შემდეგ, უსათუოდ გამოხატავს მთელი მოსკოვის ორგანიზაციის სულიერ განწყობილებას და ნებისყოფას.

მოსკოვი ერთსულოვნად მიესალმა ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რეზოლიუციას მუშათა დემოკრატიის შესახებ, იგი მიესალმა ამ რეზოლიუციას, რომელშიაც მან დაინახა პარტიაში მომწიფებულ მოთხოვნილებათა ნამდვილი დაკმაყოფილება და ჭეშმარიტი გზა, რომელსაც მივყევართ ყველა ფრონტებზე პარტიის ბრძოლის უნარიანობის განმტკიცებისაკენ; მოსკოვის ორგანიზაციამ გამოსთქვა თავისი გადაჭრილი სურვილი მტკიცეთ და გაბედულათ გაატაროს თავის შინაპარტიულ ცხოვრებაში მუშათა დემოკრატიის პრინციპები.

მაგრამ მოსკოვმა სთქვა გაბედულად არა მარტო ეს.

ამხანაგების ერთმა ჯგუფმა (პრეობრაჟენსკიმ, საპრონოვმა, ნ. სმირნოვმა და სხვ.), რომლებიც თანამომხსენებლებათ გამოდიოდენ იაჩეიკების და სარაიონო კრებებზე, დისკუსიის მსვლელობაში დააყენეს მოსკოვის ორგანიზაცია აუცილებლობის წინაშე პასუხი გაეცა ამ საერთო კითხვაზე, პარტიის ხელმძღვანელობის საკითხზე. მოსკოვის ორგანიზაციამ ზიზღით უარჰყო „მსხვილი" დ „წვრილი" სიტყვების გადაკვრა იმაზე, რომ უმნიშვნელოვანესი შინაპარტიული საკითხი მუშათა დემოკრატიის შესახებ, წამოყენებულია ცენტრალურ კომიტეტის მიერ მხოლოდ საზიზღარ შინაპარტიულ დიპლომატიის და „ფრაქციულ მოსაზრებებით". მოსკოვის ორგანიზაციამ არა ორაზროვნად გამოსთქვა თავისი დამოკიდებულება ცენტრალურ კომიტეტისადმი: მტკიცე ნდობა გამოუცხადა მას. მან სთქვა, რომ ის მზად არის ცეკას ხელმძღვანელობით გაატაროს ძნელი გარდატეხა პარტიულ ცხოვრებაში.

იმავე ამხანაგებმა აიძულეს მოსკოვის ორგანიზაცია,—და ამაშია მათი უმთავრესი დამსახურება,—სისწორით გაერკვია საკითხი იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მუშათა დემოკრატია ჯგუფების და ფრაქციების შედგენის თავისუფლებას. მოსკოვის ორგანიზაციის წინაშე 10 ყრილობის რეზოლიუციით უკმაყოფილო ამხანაგებს საშუალება ჰქონდათ ვრცლად დაესაბუთებიათ თავისი მოთხოვნილება 10 ყრილობის რეზოლიუციის შეცვლის და ჯგუფების თავისუფლების აღიარების შესახებ. იმათ განიცადეს სრული დამარცხება, მათ ცდას ესარგებლათ პარტიის გადახრით იმისათვის, რათა მიეღოთ ჯგუფების არსებობის თავისუფლება, გაბედული პროტესტით შეხვდენ. მოსკოვის ორგანიზაციამ გაიგო, დაადასტურა და აშკარად უთხრა ამ ამხანაგებს, რომ ის არ დაუშვებს ძველ ბოლშევიკურ ორგანიზაციის გარდაქცნას ჯგუფების, სხვადასხვა მიმდინარეობათა, ფრაქციების და ქვეფრაქციების კოალიციათ, რომ ამგვარ ქადაგებაში ის ხედავს მუქარას პარტიის მთლიანობის და საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცის წინააღმდეგ.

მოსკოვის ორგანიზაციამ გაბედულად უარყო მუშათა დემოკრატიის რეჟიმზე გადასვლის გამოყენების ცდა პარტიის სხვადასხვა ნაწილებს შორის შუღლის ჩამოგდებისათვის, მან აბსოლიუტურად აუცილებლად აღიარა სისტემატიური მუშაობა პარტიულ აპარატის გასანახლებლად, მან აღიარა, რომ მორიგი ხელახალი არჩევნები გამოყენებულ უნდა იქნან არჩევით თანამდებობაზე ისეთ ამხანაგების წამოსაყენებლად, რომელნიც მზად არიან იმუშაონ მუშათა დემოკრატიის რეჟიმის განსახორციელებლად, მაგრამ ამავე დროს მან გაბედულად გაილაშქრა „თანამდებობიდან მოხსნის" ლოზუნგების, საერთო ჩვენი ცოდვების და ნაკლულევანებათა პარტიულ „აპარატისათვის" გადაბრალების წინააღმდეგ.

მოსკოვის ორგანიზაციის ეს ნათლად გამოხატული ნებისყოფა არის საუკეთესო გარანტია იმისა, რომ ძნელი გადახრა, რომლის გზაზედაც დღეს პარტია სდგება, მოხდება გეგმაშეწონილად, ზედმეტი შერყევათა, პარტიის მთლიანობისა და მისი ბრძოლის უნარიანობისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

მაშინ, როდესაც დისკუსიების შედეგები ჯერ კიდევ გამორკვეული არ იყო, ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკის მოკრიტიკე ამხანაგები ქება-ხოტბას ასხავდენ მოსკოვის ორგანიზაციას, როგორც პარტიაში მოწინავე, როგორც ყველაზე მგრძნობიარე და აქტიურ ნაწილს. მათ გამოსთქვეს რწმენა, რომ იმ გზით, რომლითაც მოსკოვი მიდის, ცოტა ოდენი დაგვიანებით წავა მთელი პარტია. ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ ეხლაც, როცა მოსკოვმა თავისი სიტყვა უკვე სთქვა, ის ამხანაგები უკან არ წაიღებენ თავიანთ „ქება-დიდებას" და ეჭვი არ შეეპარებათ მოსკოვის ორგანიზაციის მგრძნობიერობასა და აქტიობაში, ჩვენ კი ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ მოსკოვი შინაპარტიულ ცხოვრების განახლების ამ მნიშვნელოვან საქმეში მართლაც უჩვენებს პარტიას გზას და, რომ მთელი პარტია, ისე როგორც მოსკოვი, შეუერთდება ცეკას რეზოლიუციას და მზად იქნება მისი ხელმძღვანელობით ცხოვრებაში გაატაროს მუშათა დემოკრატიის რეჟიმი და მტკიცეთ დაიცავს პარტიის მთლიანობას ჯგუფებისა, ფრაქციების და სხვადასხვა მის ნაწილებს შორის შუღლის თესვისაგან, რითაც ილახება პარტიის მომუშავე დაწესებულებათა ავტორიტეტი.

ლ. კამენევი.

ერთი „დოკუმენტი"-ს გამო

ჩვენს ხელთ არის ერთი დოკუმენტი—მიმართვა „საქართველოს მუშათა და გლეხთა მიმართ", რომელიც ხელმოწერილია: „საზღვარ-გარეთული ბიურო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა".

როგორც მისი შინაარსიდან სჩანს, საზღვარ-გარეთ გადახვეწილ მენშევიკების გაბოროტებულ-დაავადმყოფებულ ფანტაზიის ეს ნაცოდვილარი დაწერილია მაშინ, როცა მენშევიკური პარტიის დაშლის პროცესი იწყებოდა და არ იყო შემდგარი მისი სრულიად საქართველოს ყრილობა, რომელსაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა თავის პარტიას და მის ლიდერებს. იქ ვკითხულობთ: „კომუნისტები.. თითო-ოროლა მოსყიდულ პირის ხელით საქართველოს სოციალ-დემოკრატიის პარტიის გაუქმებას ელტვიან" და შემდეგ ლაპარაკია მენშევიკების იმ კონფერენციებზე, რომელნიც წინ უძღოდენ მათ ყრილობას.

ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკების ლიდერები მათი პარტიიდან მუშების და გლეხების გასვლას ჩვენი პარტიის მხრით მათ მოსყიდვას და „ჩეკას" რეპრესიებს აწერდნენ და სულმდაბლებს და მოღალატეებს უწოდებდნენ ყველა იმათ, ვინც გაერკვა მდგომარეობაში, დაინახა მენშევიკების მოღალატეობა მუშათა კლასისადმი და მათ ზურგი შეაქცია.

მაგრამ როცა მენშევიკური პარტიის დაშლამ მასიური ხასიათი მიიღო, როცა იქედან გაიქცნენ ყველა მშრომელი ელემენტები, როცა მათმა ყრილობამ, შემდგარმა პარტიის 12.000 ძველი წევრის წარმომადგენლებისაგან, ეს პარტია გაუქმებულად გამოაცხადა, უხერხული და შეუძლებელი აღმოჩნდა ყველაფერ ამის ახსნა „მოსყიდვით" და რეპრესიებით. ჯერ კიდევ გ. ს. დევდარიანმა აღიარა მის პარტიაში ღრმა კრიზისის ფაქტი, ხოლო ბ. ხომერიკთან აღმოჩენილ „თეზისებში" უფრო გარკვეულადაა აღნიშნული, რომ მენშევიკურ პარტიის დაშლა აიხსნება არა „ვისიმე მოღალატური გაიცემლობით", არა მარტო „ჩეკას" არსებობით, არამედ უფრო ღრმა მიზეზებით. ამ „თეზისებში" აგრეთვე აღიარებულია, რომ მენშევიკებს არ ჰქონდათ კონტაქტი მასასთან.

ამის შემდეგ ყოველგვარი აზრს კარგავს „მიმართვის" მოძველებული ახსნა მენშევიკური პარტიის დაშლის. უფრო მეტ ანაქრონიზმად უნდა ჩაითვალოს „დოკუმენტის" მტკიცება, რომ სოციალ-დემოკრატიას მხარს უჭერს საქართველოს მთელი ხალხი, მთელი მისი მშრომელი მასსა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მესამე წელზე ასეთი განცხადებით შეცდომაში ვერ შეიყვანენ არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ უცხოეთის იმპერიალისტებს და მათ მაჩანჩალა მეორე ინტერნაციონალს, რომელთა მოსატყუებლადაა განზრახული ეს „ნაწარმოები".

საქართველოს ხალხმა ამ სამი წლის განმავლობაში არა ერთხელ დაამტკიცა თვალსაჩინოდ, თუ ვის უჭერს ის მხარს—კომუნისტურ პარტიას და მუშურ-გლეხურ მთავრობას; ხოლო მან სამარცხვინო ბოძზე გააკრა მისი არამკითხე ოპეკუნები—გ. გ. მენშევიკები. ამის მტკიცება დღის სრულებით ზედმეტია.

„მიმართვის" „შემომქმედნი" ასეთივე სიყალბეს იჩენენ ყველა იქ წამოყენებულ სხვა საკითხების გაშუქებაშიც, როგორიცაა საქართველოს და რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა, მათი ურთიერთობა, ჩვენი რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა, კომუნისტური და ყვითელი ინტერნაციონალების ძალთა განწყობილება.

მათი მტკიცებით, საქართველოში თითქო ბატონობს მოსკოვის საოკუპაციო ხელისუფლება, რომელიც ახრჩობს ყოველ ქართულს, სდევნის ქართველ ხალხს, რომელიც იბრძვის თავის დამოუკიდებლობისა და განთავისუფლებისათვის; ამასთან ეს ხელისუფლება სძარცვავს ჩვენს ქვეყანას, ანადგურებს მის მეურნეობას და სხვ.

ჩვენ გვესმის, რომ გაბოროტებული კაცი სინამდვილის გაგების უნარს კარგავს ან განზრახ ამახინჯებს მას. მაგრამ ვინ დაიჯერებს, რომ ქართველი ხალხი საბჭოთა ხელისუფლების დროს არ გრძნობდეს თავს ნამდვილად დამოუკიდებლად და სუვერენად და არ იყოს მტკიცე გარანტიები და პირობები შექმნილი მისი ნაციონალური-კულტურულ და ეკონომიურ განვითარებისათვის.

ყველაფერი ეს ხომ უტყუარი ფაქტია. მაგრამ ეს არ არის ხელსაყრელი მათთვის, ვინც საქართველოს „დამოუკიდებლობაზე" ოცნებობს ე. ი. მის დამოკიდებულებაზე იმპერიალისტებისაგან და თავის დაკარგულ ბატონობის აღდგენაზე.

ასეთივე „სიმართლეს" შეიცავს „მიმართვის" ავტორების აზრი, თითქო რუსეთი ინგრეოდეს და მუშათა კლასის მდგომარეობა იქ აუტანელი იყოს. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, ცხადია, სულ წინააღმდეგს ამტკიცებენ.

შემდეგ „დოკუმენტში" ნათქვამია, რომ საბჭოთა ხელისუფლება თავის არსებობის გასახანგრძლივებლად ჰყიდის რუსეთს და ეპატიჟება ყველა კაპიტალისტებს და მათთან თანხმდება ყველა პირობებზე, ოღონდ მოვიდნენ და მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის აღორძინებაში. მაგრამ საბჭოთა რუსეთს არავინ ეკარება თურმე და ის „ყოველმხრივ გარიყული აღმოჩნდა"..

ესაა სინამდვილის ყირამალა დაყენება. მხოლოდ მენშევიკებს არ სურთ დაინახონ, რომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა დღითი-დღე მტკიცდება, მას უკვე მიმართავენ უცხოელი კაპიტალისტები მრავალი საქმიანი და ჩვენთვის მისაღები წინადადებით და რომ საბჭოთა კავშირის იურიდიული ცნობის საკითხი დღის წესრიგშია დაყენებული მთელ რიგ დიდ თუ პატარა სახელმწიფოებში.

არა ნაკლებ კურიოზულია „მიმართვის" მტკიცება, თითქო კომუნისტური ინტერნაციონალი თანდათან იშლებოდეს, ხოლო მეორე ინტერნაციონალი წარმოადგენდეს უძლიერეს ორგანიზაციას. ამის გასაბათილებლად საკმარისია დავასახელოთ თუ გინდ მარტო გერმანიის მაგალითი, სადაც სოციალ-დემოკრატიის იდეური გაკოტრების და ორგანიზაციული დაშლის პროცესი დაუჯერებელი სისწრაფით და მასშტაბით მიმდინარეობს, ხოლო კომუნისტური პარტია ჰკრეფს თავის გარშემო ყველა ცოცხალ დ რევოლიუციონურ ძალებს.

ხსენებული „დოკუმენტი" თავიდან ბოლომდე მხოლოდ სიცრუისა და სიყალბის თაიგულს წარმოადგენს. ის არც ისახავს მიზნად ფაქტებით დაადასტუროს წამოყენებული დებულებები მიტომ, რომ ეს შეუძლებელი არის.

ყველაფერი ეს ძველის ძველი ზღაპრებია, რომელთაც არსად არა აქვთ გასავალი, ყოველ შემთხვევაში საქართველოს მუშებსა და გლეხებში. „მიმართვის" მისამართი შეშლილია. ასეთი ზღაპრებით მათ შეუძლიათ მიმართონ თითო-ოროლა ავანტიურისტებს და ბანდიტებს, რომელნიც აქა-იქ კიდევ დარჩენილან ჩვენში და რომლებზეც მათ საფუძველი აქვთ იგულვონ ერთგული მოკავშირენი.

რაც შეეხება საქართველოს მუშებს და გლეხებს, მათ კარგა ხანია ჩაქოლეს ისინი, როგორც მშრომელი ხალხის მოღალატენი და გაუსწორებელი ბოროტ-მოქმედნი და ვერავითარი „მიმართვებით" და ტყუილებით ვერ შესძლებენ ჩვენი ხალხის გადაბირებას და სწორი გზიდან გადახვევას.

საქართველოს მშრომელი მასა მენშევიკების შერცხვენილ და გაკოტრებულ „გენერლებს" მხოლოდ ზიზღით უპასუხებს.

X.

„მაკრატლის" მიზეზები

II

ჩვენი მრეწველობა ომის და რევოლიუციის ხანაში დიდათ დაეცა. გამოიხატა ეს როგორც მცირე პროდუქციაში, ისე ძირითადი კაპიტალის (მანქანები და სხვ.) ნაწილობრივ განადგურებაში.

თავის თავად ცხადია, რომ მრეწველობა, რომელმაც საგრძნობლად აიდგა ფეხი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ, ცდილობს აინაზღაუროს დანაკლისი, აღადგინოს და შექმნას კვლავ ძირითადი კაპიტალი და ამით დადგეს თავის საკუთარ ფეხზე. ეს ბუნებრივი მისწრაფებაა. და ჩვენ ვამჩნევთ, რომ დაიწყო ეს, აღორძინების, კვლავ წარმოების (**воспроизводство**) პროცესი. მთელმა რიგმა საწარმოვო დარგებისა იწყო უკვე მოგების მოცემა. საგრძნობი ნაწილი ამ მოგებისა, ცხადია, მიდის ძირითადი კაპიტალის აღსადგენათ. რამდენადაც მაღლდება მრეწველობა, იმდენათ ის ნაკლებ დახმარებას ითხოვს სახელმწიფოსაგან. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ჩვენი მრეწველობის წინაშე კარდინალური პრობლემა არის; ძირითადი კაპიტალის აღდგენა, პრობლემა, რომელიც ჯერ გადაწყვეტილად არ შეიძლება ჩაითვალოს.

იგულისხმება, რომ ეს აღდგენა ხდება მოგების საერთო მასსის გადიდების მიხედვით, ხოლო მოგების მასსა კი, თუ სხვა პირობები მოცემულია, დამოკიდებულია მოგების ნორმაზე. ჩვენც ვამჩნევთ სწორეთ მოგების ნორმის გადიდებას. ასე, მაგალითად, ომამდის ყოფ. გუჟონის ქარხანაში დამზადებული მავთულის ფასი შეადგენდა 1 მ. დ. 80 კაპ. აქედან მოგება 10 პროც. 1923 წ. იანვარში ის შეადგენდა 2 მ. 50 კ. და აქედან წასაგები იყო 30 პროც. აპრილში—3 მ. 80 კოპ. მოგება—17 პროც. სექტემბერში—5 მ. 25 კ.—მოგება 65 პროც.

ამრიგად, მოგება იზრდება 17 პროც.—65 პროცენტამდე ა. წ. აპრილიდან. რასაკვირველია, ეს არ შეიძლება ითქვას მთელ რიგ საწარმოვო დარგებზე, რომელთაც ჯერაც წასაგები მოაქვთ. ყოველ შემთხვევაში, ამ ტენდენციას, **მოგების ნორმის ზრდას**, რაც აუცილებელია წარსულ ზარალის ასანაზღაურებლათ და ძირითადი კაპიტალის აღსადგენათ, არ შეუძლია თავისი წვლილი არ შეიტანოს ფასების საერთო ზრდაში, საქონლის **თვითღირებულების გადიდებაში**. ეს თვითღირებულების ზრდა არის ერთი მიზეზთაგანი ფასების გადიდებისა. მაგრამ ეს წარმოების პროცესში. წარმოების პროცესის შემდეგ კი საქონელმა უნდა გაიაროს ტრიალის პროცესი, სანამ მომხმარებლამდის მიაღწევდეს. აქ კი ჩვენ უნდა აღვნიშნოთ დიდი ნაკლი. ორგანიზაციულის მხრივ ეს საქონლის მიმოქცევის აპარატი არ არის კარგ მდგომარეობაში. აქავე აქვს ადგილი მრავალ დამატებით ხარჯებს, მაგრამ უამისოთაც სავაჭრო კაპიტალის **მოგების ნორმა დიდია**. ეს უფრო, რასაკვირველია, ითქმის კერძო სავაჭრო დაწესებულებებზე. სპეკულიანტები ერთი-ორად უფრო ძვირათ ჰყიდიან საქონელს იმის გამო, რომ ჩვენი კოოპერატივები და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოები მოიკოჭლებენ და უშუალოდ ვერ აწოდებენ მყიდველს საქონელს, რის გამო ის უვარდება ხელში ჩარჩ-ვაჭრებს.

გადასახადებს უეჭველია დიდი წილი მიუძღვის „მაკრატლის" პრობლემის გამწვავებაში. 1922—23 წ. მთელი პროდუქციის ღირებულება ფასდება 1650 მილ. ოქრ. მანეთით და „გოსპლანის" ინდექსით კი 2315 მილ. წმინდა პროდუქცია (სათბობი და ნედლი მასალის გამოკლებით) განისაზღვრება 877 მილ. მან. „გოსპლანის" ინდექსით. ყველა გადასახადები (აქციზი და სხვ.) შეადგენს 5,8 პროც. მთელი პროდუქციისას და 15,4 პროცენტს წმინდა პროდუქციისას.

ამას უნდა მიუმატოთ აგრეთვე სხვადასხვა დამატებითი **ხარჯები**, როგორიც არის მაგალითად: რკინის გზის ტარიფი, საქონლის შენახვა, ადგილობრივი ტრანსპორტი და სხვ. ყველა ამის შედეგათ კი საქონელი დიდად ძვირდება. ასე, მაგალითად, ფხვნილ-შაქრის კალკულიაციაში დამატებითი ხარჯები შეადგენენ 80 პროც., მარილის—აქციზი და ტარიფი—64—66 პროც. ამ დამატებით ხარჯების 19 პროც. ედება საქონელს თვით წარმოების პროცესში, ხოლო 80 პროც. **მიმოქცევის პროცესში**.

ასეთია სინდიკატების გაყიდვითი ფასები. მაგრამ წვრილ ვაჭრობაში ეს გაყიდვითი **ფასი იზრდება** 200 პროცენტზე მეტად, ასე, მაგალითად, შაქარზე 276 პროც., ჩაიზე 100—200 პროცენტამდის და ასე შემდეგ.

სინდიკატების ფასებზე კი ეს დამატებითი ხარჯები საშუალოდ შეადგენენ 100 პროც. არ შეიძლება აგრეთვე არ შევეხოთ **ნედლი მასალის გაძვირებას** ამ უკანასკნელ ხანებში, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს საქონლის თვითღირებულების გადიდებაში. მაგალ. ტყავეულობის ფასმა აიწია 50 პროც., ბამბის—25 პროც. და სხვ. მიუხედავათ ყოველივე ამისა საქონლის თვითღირებულებას (ფაბრიკის) ემჩნევა ტენდენცია დაკლებისა. თუ 1923 წ. 1 იანვარს ნართავის ფასი ომამდის არსებულ ფასს აღემატებოდა 8 მ. 34 კაპ., 1 სექტემბერს აღემატებოდა მხოლოდ 4 მ. 50 კ., შაქრის ფასი 1 იანვარს 1923 წ. 1 მ. 96 კაპ-ით აღემატებოდა ძველ ფასებს, 1 სექტემბერს კი 1 მან. 41 კაპ-ით. აქედან სჩანს, რომ ჩვენი მრეწველობის ზოგიერთი დარგები უკვე გამოვიდენ სწორ გზაზე და განაგრძობენ წინსვლას.

რუსეთის პრესაში სამართლიანათ აღნიშნავენ აგრეთვე კრედიტის როლს თანამედროვე კრიზისში. ჩვენი ბანკების პოლიტიკა უფრო შეეფარდებოდა მრეწველობის ინტერესებს და მას უჩენდა კრედიტს. სოფლის მეურნეობა კი კრედიტს თითქმის მოკლებული იყო. ამის გამო სოფელს არ შეეძლო თავისი მეურნეობის აღორძინება და ქალაქის ნაწარმოების რეალიზაცია.

ანალიზი საქონლის გაძვირებისა გვიჩვენებს შემდეგ სურათს; ჩითი გაძვირებულა ომის წინა ფასთან შედარებით 18 კაპ.—39 კაპ. ე. ი. 117 პროცენტით, შუშა—41,75 მან, (კოლოფი) 74-პროცენტამდის ე. ი. 75-პროცენტით, მარილი 13,5 კაპ.—2 მ. 26 კაპ. ე. ი. 1.570 პროცენტით შაქარი 3 მ. 45 კაპ.—11 მ. 26 კაპ. ანუ 225 პროცენტით, ნავთი 39 კაპ.—2 მ. 19 კაპ. ანუ 464 პროცენტით ერთის სიტყვით, ქალაქის ნაწარმოების ფასი გაზრდილია 2—3 ჯერ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კერძო ვაჭრების და სპეკულიანტების ფასებს.

ამავე დროს სოფლის ნაწარმოების ფასი დაეცა ამნაირათ. პური (1 ფ.) ღირდა ომამდის 1 მ. ეხლა კი 45 კ. სიმინდი ღირდა უწინ 80—90 კაპ. ეხლა კი 25—30 კ. ასევე დაეცა სოფლის სხვა ნაწარმოების ფასები. რა შედეგი მოყვა ამას? ის, რომ გლეხკაცობას არა აქვს საშუალება იყიდოს ქალაქის საქონელი, ის, რომ მრეწველობის ნაწარმოები სოფელში ვერ პოულობს თავის ბაზარს, გაყიდული სამრეწველო ფაბრიკატებიდან, საერთო ღირებულებით 1 მილიარდი მანეთის, ქალაქზე მოდის 700 მილიონის და სოფელზე კი მხოლოდ 300 მილ. მანეთის. და ეს მაშინ, როდესაც რუსეთის მცხოვრებთა 80 პროც. სოფელშია.

ამრიგათ ერთის მხრივ საქონელი გროვდება ქალაქებში, ვერ აღწევს სოფელს; მეორეს მხრივ სოფელს არ შეუძლია იყიდოს საქონელი, რადგან სყიდვითი უნარი არა აქვს. თითქოს სოფელი და ქალაქი ერთმანეთს დაპირდაპირებია.

როგორც ყველა ზემონათქვამიდან გამოირკვა, თანამედროვე „მაკრატლის" მიზეზები ყოფილა, 1) შეუთანაბრობა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის შორის, 2) თვითღირებულების გადიდება, 3) ზედმეტი მოგების ნორმა, განსაკუთრებით სავაჭრო ნორმის, 4) დამატებითი ხარჯები, 5) ნედლი მასალის გაძვირება და 6) კრედიტით არ სარგებლობა სოფლის მეურნეობაში.

რას ფიქრობს და რა ღონეს იღებს საბჭოთა ხელისუფლება და კომპარტია ამ „მაკრატლის" პრობლემის გადასაწყვეტად?

ქ. ორაგველიძე.

მენშევიკების დანაშაულობა

ჩვენ არა ერთხელ ვუმტკიცებდით საქართველოს მუშებს და გლეხებს იმას, რომ მენშევიკებმა მიზნად დაისახეს საბჭოთა საქართველოს შიგნიდან აფეთქება, ორგანიულად შეუკავშირდენ რა ბანდიტურ ბრბოებს; ემიგრაციაში ყოფნის დროს ცდილობდენ მოეხდინათ საქართველოს ინტერვენცია დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტების ხელით, ცხადია, განსაზღვრული ჯილდოს მიღების მიზნით. მენშევიკურ ცეკას ამ ტაქტიკას არ იზიარებდა პარტიის მუშურ-გლეხური ნაწილი. ამ ტაქტიკამ გამოიწვია განხეთქილება ცეკას შიგნით (პარტიიდან ცეკას წევრის თევზაიას გასვლა). ამ ტაქტიკამ ხელი შეუწყო პარტიის სწრაფად დაშლას.

როდესაც სეით დევდარიანი სწერდა საინიციატივო ბიუროს ჟურნალში „ახალი გზების ძიების" შესახებ—მას, ცხადია, სახეში ჰქონდა იმ ტაქტიკის შეცვლა, რომელსაც მენშევიკების ცეკა აწარმოებდა უკანასკნელ დრომდე. დევდარიანი სწერდა იმის შესახებ, რომ მენშევიკური პარტია ვერ იარსებებს ვერც ერთ დღის, თუ დამტკიცდება მისი კავშირი ბანდიტებთან, ის კატეგორიულად უარჰყოფდა მენშევიკების ცეკას მისწრაფებას საქართველოს ინტერვენციისაკენ.

თეზისებში (დოკუმენტი აღმოაჩნდა ბ. ხომერიკს) მენშევიკები პირდაპირ სწერდენ:

„კრიზისი ჩვენი ორგანიზაციის რიგებში შექმნა არა ამა თუ იმ პირის ღალატმა, არა; მისი მიზეზი უფრო ღრმაა. ხანგრძლივი ომი, რევოლიუცია, დაუსრულებელი ნაციონალური ბრძოლა და **აგრეთვე ნაწილობრივ ჩვენს მიერ წარმოებული ტაქტიკა, იარაღის ყოველგვარი ჟღარუნის და ყოველგვარი ორგანიული ბრძოლის ტაქტიკა**, (ხაზი ჩვენია რ.) თავისი მუშაობის ხაზის ფაქტიური უარყოფა და ამით გამოწვეული დაღლილობა ხალხის და პარტიული მასების, უიმედობა და მასთან ერთად ტერორი მტრების მხრივ—აი ყველაფერი ეს და ამგვარი მოვლენები შეადგენენ უმთავრესად კრიზისის მთავარ მიზეზებს".

მაგრამ მენშევიკებს ვერაფერი ვერ შეასწავლეს თვით მთელი პარტიის გახრწნისა და დაშლის ფაქტებმაც. მთელი პარტიის დაშლის (კრიზისის) ანალიზში ისინი თითქოს ცდილობენ მათი ტაქტიკის შეცვლას, ხოლო პრაქტიკაში კი განაგრძობენ „იარაღის ჟღარუნის" ტაქტიკას, აყენებენ რა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მათ სამღვთო ლოზუნგს: „შეიარაღებული აჯანყება საქართველოს შიგნით, გარედან ინტერვენცია უცხოეთის ჯარებით".

ნოე ხომერიკის (მენშევიკებას ცეკას თავმჯდომარის) წერილი მის მეგობრებისადმი უცხოეთში ნათლად ააშკარავებს ამ ბატონების მთელ ბოროტმოქმედებას საქართველოს მშრომელთა წინაშე. „როგორც წინანდელ წერილში ვსწერდი, საკითხი აჯანყების შესახებ სერიოზულად სდგას, შესაძლებელია (შემდეგ დამახინჯებულია)... ვფიქრობ ერთი თვის შემდეგ განხორციელდება... ერთი თვე და თუ საქმე ჩაიშალა, მე ვიხსნი თავიდან პასუხისმგებლობას, დამნაშავე იქნებით თქვენ. თქვენ რომ თავის დროზე აგეღლოთ ხმა, მაშინ შესაძლებელია სხვაგვარად და უფრო უკეთესად წაგვეყვანა საქმე. ამის შესახებ ზოგადათ მე უკვე გწერდით. თუ ეს საქმეც მშვიდობიანად დასრულდება მეორისათვის (დამახინჯებულია) დაგვჭირდება იარაღი, თუ ამ მხრივ რაიმეს მოახერხებთ, ეს იქნება დიდი მიღწევა. თუ მას ხელში ჩავიგდებთ და როდესაც რუსეთი დასძრავს ჯარებს, **ნუ თუ პოლონეთი მაშინ არ მოახდენს დემონსტრაციას მაინც**". (კურსივი ჩვენია. რ.)

აი რას სწერდა რამოდენიმე თვის წინ ბატონი ხომერიკი.

„საკითხი აჯანყების შესახებ სერიოზულად სდგას"—სწერს ხომერიკი. სხვა თუ არა, ყოველ შემთხვევაში დღე საქართველოს თვითეული მუშა და გლეხი ყურადღებით გაერკვეს ამ დოკუმენტში. ჩოლოყაშვილის ბანდები უნდა ყოფილიყვნენ „აჯანყების" მთავარი მონაწილენი? თუ ამასთან ერთად მოვიგონებთ იმ დოკუმენტებს, რომლებიც აღმოაჩნდა ერთ-ერთ მოკლულ ბანდიტს, რომლებშიაც აშკარად მტკიცდებოდა ბანდებთან კავშირი არა მარტო ადგილობრივ, არამედ უცხოელ მენშევიკებისაც,—დღეს ყველასათვის ეჭვს გარეშე გახდება, რომ მენშევიკების ცეკას არა თუ ჰქონდა კავშირი ბანდებთან, არამედ თვით უწევდა ხელმძღვანელობას ამ ბანდებს, სთხოვდა რა თავის თანამოძმეებს უცხოეთში იარაღით დახმარებას და ჩარევას თეთრგვარდიელთა პოლონეთისას, რომელსაც ბატონ ხომერიკების დასახმარებლად უნდა მოეწყო დემონსტრაცია!

საქართველოს უცხოეთში მყოფი მენშევიკები აშკარად ემხრობიან ინტერვენციას და საქართველოს და მთელი კავკასიის ოკუპაციას უცხოეთის ჯარების და თუნდაც ოსმალეთის მიერ. ადგილობრივი მენშევიკები უფრო ხელსაყრელად სთვლიან საქართველოს ოკუპაციას საფრანგეთის და ინგლისის ჯარების მიერ, ხოლო ოსმალეთს კომპენსაციის სახით უნდა დაეთმოს საქართველოს სამხრეთის პროვინციები იმ დოკუმენტებში, რომლებიც აღმოაჩნდა ბ. ხომერიკს, არის თეზისები, რომლებშიაც დაწვრილებით ირჩევა ინტერვენციის საკითხი.

თეზისების მე 5-ე და მე-6-ე მუხლებში ვკითხულობთ შემდეგს:

„შესაძლებელია უფრო მოკლე გზის არჩევა, თუ ევროპის ხელმძღვანელი სახელმწიფოები — ინგლისი და საფრანგეთი—არ იცნობენ მოსკოვის იმპერიას და დაუყოვნებლივ აქტიურად ჩაერევიან მის დაყოფაში, მაგალითად ცენტრალურ ევროპის საკითხების (რურო-რეინი) გადაჭრის შემდეგ, ამ შემთხვევაში ამიერ-კავკასიის საქმეებისათვის დასახმარებლად მოიწვევენ ოსმალოებს, მაგრამ ჰეგემონიას—მეთაურობას, ცხადია, მათ ხელში დაიტოვებენ და საქართველოს და სომხეთს უზრუნველყოფენ ოსმალეთის თვითნებობისაგან. ასეთი კომბინაციის წინააღმდეგ არ წავა არც სომხეთი".

თითქო კომენტარიები ამ თეზისისათვის საჭირო არც კი არის. მენშევიკებს სურთ ძალაუფლების ხელში ჩაგდება და საბჭოთა ხელისუფლების დამხობა საქართველოში ოსმალეთის ხიშტებით და ინგლის საფრანგეთის ხელმძღვანელობით. ოსმალეთი, მენშევიკების აზრით არ უნდა თამაშობდეს ხელმძღვანელ როლს საქართველოს „განთავისუფლების" საქმეში, იგი უნდა იყოს მხოლოდ დამხმარე ძალა და იგი თავის დროზე უნდა ალაგმონ ინგლისმა და საფრანგეთმა, რა თქმა უნდა სათანადო კომპენსაციის მიცემით". სულ სხვას ვკითხულობთ ჩვენ 2 თეზისში—თუ ევროპა შეთანხმებულად გაანთავისუფლებს ამიერ-კავკასიას და როგორც დამხმარე და სარეზერვო ძალას გამოიყენებს ოსმალეთს".

რას იტყვიან ამის გამო ბატონი ხომერიკი და დევდარიანი? სხვათა შორის უკანასკნელი მართალი აღმოჩნდა, როცა სწერდა იმის შესახებ, რომ პარტია ვერც ერთი დღე ვერ იარსებებს, თუ დამყარდა ამ პარტიის კავშირი ბანდებთან. საქართველოს სოციალ-დემოკრატია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს დღევანდელ მომენტში, მუშათა კლასის პარტიად ან იმ მუშათა კლასის ნაწილად, რომელიც მენშევიზმს ჩამოშორდა. დარჩენილი მუშები ამ გამომჟღავნების შემდეგ, მას შემდეგ, რაც მენშევიზმის ლიდერები ოსმალეთის ხიშტებით ფიქრობენ „დამოუკიდებელი საქართველოს" აღდგენას—დასტოვებენ ამ გამცემელ და ავანტიურისტულ ორგანიზაციას.

მენშევიზმმა გამოაშკარავა თავისი დანაშაულებრივი ფიზიონომია. როგორია ჩვენი ამოცანები მოცემულ ფაქტების გამო?

1) განვაგრძოთ გაბედული ბრძოლა იმ ავანტიურისტების წინააღმდეგ, რომლებიც მენშევიკურ პარტიის სახელით უმზადებენ საქართველოს მშრომელებს სისხლისმღვრელ ხოცვა ჟლეტას.

2) გამოვამჟღავნოთ საქართველოს მუშების და გლეხთა ფართე მასების წინაშე მენშევიზმის იმ ხელმძღვანელთა დანაშაული, რომლებიც ამზადებენ (მოხერხებულ მომენტში) საქართველოში უცხოეთის ჯარების და კერძოთ ოსმალეთის ხიშტების ინტერვენციას.

3) საჭიროა, რათა ეს გამომჟღავნება ეცნობოს ყველაზე ჩამორჩენილ მუშას და გლეხსაც კი.

4) საჭიროა შევაგროვოთ მენშევიკების გამომჟღავნებელი დოკუმენტები, დავბეჭდოთ და გავავრცელოთ ათას ეგზემპლარად, რათა მენშევიკების დანაშაულობათა შესახებ შეეძლოს წაკითხვა საქართველოს ყოველ მშრომელს.

რუბენ.

საბჭოთა კავშირი და ამერიკა

იუზის გამოსვლის გამო

ნიუ იორკი. 20 დეკემბერი. თავისი აჩქარებული გამოსვლით იუზმა სცადა დროებით დაემარცხებინა საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრენი. ე. ი. ირკვევა, რომ იუზს არც კი უცნობებია წინასწარ თავის პასუხი კაბინეტისათვის. მისი განცხადება არ განუხილავს ამერიკის მთავრობას. მაგრამ, ცხადია, რომ იუზის პასუხი გამოქვეყნებულია კულიჯის დასტურით. იუზი მოქმედებდა ფარულად, მან არ დააცადა ცნობის მომხრეებს პრეზიდენტზე გავლენის მოხდენა. ამით იუზმა თავისი მოწინააღმდეგეები დააყენა მომხდარი ფაქტის წინაშე.

პრესა იუზის პასუხს სთვლის ბორის საგრძნობ დამარცხებად რუსეთის საკითხში. ბორა ჯერ კიდევ სდუმს და ელოდება კულიჯის განმარტებას.

„ნიუ-იორკ ტრიბიუნ"-ი, ხაზს უსვამს იუზის გამარჯვების მნიშვნელობის დ აღნიშნავს, რომ ბორას პოლიტიკა კიდევ დიდი თანაგრძნობით სარგებლობს კონგრესზე და მთავრობაშიაც. გაზეთი იტყობინება, რომ იუზის განცხადებამ, პრეზიდენტის წერილის შემარიგებელი კილოს შემდეგ, დიდი აღშფოთება გამოიწვია საზოგადოებრივ წრეებში. გაზეთი აღნიშნავს, რომ იუზს კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა შესაძლებელია, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ ძლიერი მოძრაობის შედეგი იქნეს ის, რომ მთავრობამ დაიჭიროს უფრო შემარიგებელი პოზიცია.

„ნიუ-იორკ უორლდ"-ი აგრეთვე იტყობინება ამ აღშფოთების შესახებ, რომელიც გამოიწვია იუზის განცხადებამ ვაშინგტონში და წინასწარმეტყველობს, რომ სენატორი ჯონსონი ისარგებლებს შემთხვევით და საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს გახდის ცენტრალურ პუნქტად კულიჯის საწინააღმდეგო კამპანიისათვის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. კონგრესის პროგრესიულ ელემენტებს განზრახული აქვთ კიდევ უფრო ენერგიულად გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ. პროგრესიული რესპუბლიკანელი სენატორი ნორისი იუზის განცხადებას სთვლის რუსეთის ხალხის და საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრე-ამერიკელების შეურაცყოფად. ამერიკა ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწევს საგარეო პოლიტიკაში, თუ სახელმწიფო დეპარტამენტი ამრიგად იმოქმედებს. პროგრესიული რესპუბლიკანელი სენატორი ლედდი შეიტანს რეზოლიუციას, რომელიც მოითხოვს, რათა სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანმა გამოაქვეყნოს ყველა ცნობები რუსეთის ვალის შესახებ და განაცხადოს, არსებობს თუ არა ფარული შეთანხმება ამერიკისა და რომელიმე სხვა სახელმწიფოს შორის, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის შეზღუდვის მიზნით; რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა წარუდგინოს სენატს ყველა დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საბჭოთა მთავრობა ეწევა პროპაგანდას, რომელიც საფრთხეს უმზადებს ამერიკის სახელმწიფოებრივ წყობილებას.

„იუნაიტედ პრეს"-ის ვაშინგტონის კორესპონდენტი იტყობინება, რომ მთავრობა ახლო მომავალში წარმოადგენს ახალ განცხადებას რუსეთის საკითხის შესახებ.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

სამხედრო დიქტატურის „ნებისყოფლობა“

ყვითელმა პროფკავშირებმა „დაიწუნეს“ რევოლიუციონური პროფკავშირების პოზიცია

ორპიროვანი იანუსები: საქსონიის სოციალ-დემოკრატებმა წინადადება მისცეს კომუნისტურ პარტიას ახალი მთავრობის ერთად შედგენის შესახებ.

მას შემდეგ, რაც კომპარტიამ უარი განაცხადა სოციალ-დემოკრატებთან ერთად საქსონიის მთავრობის შედგენაზე—სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს შექმნან დიდი კოალიცია ბურჟუაზიასთან ერთად.

„გაბედული ნაბიჯი“ გერმანიაში სიძვირე ხელახლა მატულობს; ამავე დროს გახშირდა სიკვდილის შემთხვევა შიმშილობის ნიადაგზე.

მიუნხენის საფეიქრო წარმოებებში გააუქმეს რვა საათის სამუშაო დღე.

მთავრობა თხოულობს ახალ სესხს სახელმწიფო ვალის დასაფარავად.

Коллекция Ник. Федосеева Грузикова

ორპიროვანი იანუსები

სოციალ დემოკრატიის საიდუმლოებები.

ბერლინი. 20 დეკემ. გერმანიის მემარჯვენე პრესა აქვეყნებს პრესის განყოფილების შპიკერტის საიდუმლო მოლაპარაკებას შეიდემანთან სოციალ-დემოკრატიულ პარტიისათვის ფინანსიურ დახმარების გაწევის შესახებ, რის ნაცვლად შპიკერტი მოითხოვდა სოციალ-დემოკრატებისაგან დახმარებას მთავრობის უფლებათა გაფართოების განხორციელებაში. შპიკერტმა განაცხადა, რომ მემარჯვენე პრესის ეს განცხადება სინამდვილეს არ შეეფერება, მაგრამ სოციალ-დემოკრატებს არ მოუწვევიათ მემარჯვენე გაზეთები პასუხისგებაში ცილისწამებისათვის.

საქსონიის მთავრობის შედგენისათვის.

ბერლინი. 20 დეკემბ. საქსონიის სოციალ დემოკრატებმა წინადადება მისცეს კომუნისტებს შეადგინონ საერთო მთავრობა. კომუნისტებმა უარი განაცხადეს. ახალ მუშათა მთავრობას იგივე ბედი ეწვევა, რაც პირველ მუშათა მთავრობას და რომ მისი შედგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სოციალ-დემოკრატები მიიღებენ წინასწარ გამაფრთხილებელ ზომებს რეიხსვერის ახალ შემოტევის წინააღმდეგ, რაზედაც დიდი იმედების დამყარება არ შეიძლება.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „დრეზდენერ ფოლკსცეიტუნგი“ და „ფორვერტსი“ ილაშქრებენ კომუნისტების წინააღმდეგ და მხარს უჭერენ სოციალ დემოკრატების და დემოკრატების კოალიციას.

საქსონიის მთავრობაში.

ბერლინი. 20 დეკემბ. სოციალ-დემოკრატებს და კომუნისტებს შორის მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ, ლანდტაგის სოციალ დემოკრატიული ფრაქციის მემარჯვენე ფრთამ დაიწყო მოლაპარაკება ბურჟუაზიულ პარტიებთან დიდი კოალიციის მთავრობის შედგენის შესახებ.

მემარჯვენე ფრთის გამოსვლის საპასუხოდ სოციალ-დემოკრატების მემარცხენე ფრთამ განაცხადა, რომ პრესაში და კრებებზე აგიტაციის გზით ის შეეცდება პარტიაში გათიშვის შეტანას. მიღებულია რეზოლიუცია, რომლის მიხედვით მოწვეული უნდა იქნეს პარტეიტაგი კოალიციის საკითხის გადასაჭრელად.

სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ

აკრძალულ პარტიების მონაწილეობა არჩევნებში.

ბერლინი 20 დეკემბერი. რეიხსტაგის უფლებათა კომისია იხილავს საკითხს აკრძალული პარტიების არჩევნებში მონაწილეობის უფლების შესახებ. ამ საკითხის განხილვის მიზეზი არის საქსონიის რეიხსვერის სარდლის მიულერის განკარგულება, რომლითაც კომპარტიას ეკრძალება საქსონიაში თავისი სიის წამოყენება. თუმცაღა მიულერი მოქმედებდა სექტის დირექტივით, მაგრამ მიუხედავად ამისა, კომისიის წევრმა და თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აკრძალულ პარტიებს აქვთ საკუთარი სიების წამოყენების უფლება. კომპარტიის წარმომადგენლებმა მოითხოვეს ამ დებულების სისწორით ჩამოყალიბება, რათა სამხედრო ხელისუფლებას მომავალში აღარ ექნეს კომპარტიის სიების აკრძალვის უფლება.

სოციალ დემოკრატებმა შეიტანეს წინადადება იმის შესახებ, რომ აკრძალულ პარტიებს არჩევნების შემდეგ მიეცეთ მათი პარტიული აპარატის აღდგენის უფლება. კომუნისტმა გერცფელდმა წამოაყენა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს პრესის თავისუფლებას არჩევნების დროს.

კომისიამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ გენერალ მიულერის მოქმედება ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. დანარჩენ წინადადებათა განხილვა გადაიდო.

— „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს კომუნისტმა დეპუტატმა კენენმა განაცხადა, რომ კომისიის გადაწყვეტილება არის სამხედრო დიქტატურის პირველი უკანდახევა პროლეტარიატის წინაშე. სამხედრო ხელისუფლება დარწმუნდა, რომ პროლეტარიატი მტკიცეთ იცავს თავისი პარტიის უფლებებს. კომპარტიის არჩევნებიდან გამორიცხვის ცდა მოიტანდა სერიოზულ შედეგებს.

ყვითელ პროფკავშირებში

ძველი გზით.

ბერლინი. 20 დეკემბ. სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების რუმშეიდის საოლქო კომიტეტმა მიმართა პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალურ კომიტეტს მოთხოვნილებით, რათა ამსტერდამის ინტერნაციონალს გადაეცეს განსახილველად პროფკავშირების ვაიმარის კონფერენციის დადგენილება, რომელიც მიმართულია პროფესიონალური მოძრაობის გაჯანსაღებისაკენ. სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ცენტრალურმა კომიტეტმა უარჰყო ეს წინადადება, გამორიცხა რეიმშეიდის კომიტეტი სრულიად გერმანიის გაერთიანებიდან, რადგანაც მან არ შეასრულა ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

ცენტრალურმა კომიტეტმა გამორიცხა აგრეთვე პროფკავშირების ზოლინგენის საოლქო კომიტეტი, რომელმაც მოიწვია ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონგრესი პროფესიონალური მოძრაობის საკითხის განსახილველად, ვაიმარის კონფერენციის მაგალითის მიბაძვით.

კომუნისტური გაზეთი „სოციალისტიშე რესპუბლიკ“-ი სწერს, რომ პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანება ქსაქსავს რურის პროლეტარიატის ძალებს, მაგრამ პროფკავშირთა ბიუროკრატიის ღალატის მიუხედავად, კომუნისტები ყოველგვარ ზომებს მიიღებენ დაქსაქსვის წინააღმდეგ და იბრძოლებენ მუშათა ერთიანი ფრონტის აღსადგენად.

„გაბედული ნაბიჯი“

პრესის დევნა.

ბერლინი. 20 დეკემბერი. ბრემენის სოციალ დემოკრატიული გაზეთი „ბრემენერ ფოლკსცეიტუნგ“-ი აკრძალულია სამხედრო ხელისუფლების მიერ ხუთი დღით, რადგანაც მან გამოაქვეყნა ანგარიში ბრემენის სეიმის სხდომების, რომელზედაც ირჩეოდა ბრემენის პოლიციის დაუშვებელი მოქმედება კომპარტიის წინააღმდეგ. გაზეთის ცნობით, 65 კომუნისტი უკვე რამოდენიმე კვირაა დააპატიმრეს, თუმცაღა მათ წინააღმდეგ არავითარი ბრალდება არ წამოუყენებიათ.

უმუშევართა ყრილობის დაპატიმრების გამო.

ბერლინი. 20 დეკ. პოლიციის ცნობაში უმუშევართა ყრილობის დაპატიმრების შესახებ აღნიშნულია, რომ 20 დაპატიმრებული კომუნისტი ციხეში იქნებიან მოთავსებული. ბერლინის ორგანიზაციის ხელმძღვანელებისაგან არავინ არის დაპატიმრებული.

სამუშაო დღე.

ბერლინი. 20 დეკ. მიუნხენის საფეიქრო წარმოებებში გააუქმეს 8 საათის სამუშაო დღე. ამის გამო უმუშევრებმა მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია. ამ წარმოებათა მუშებმა უარი სთქვეს ზედმეტ მუშაობაზე.

სესხი მთავრობას.

ბერლინი. 20 დეკემბ. სახელმწიფოს კრიტიკული ფინანსიური მდგომარეობის გამო, გერმანიის ფინანსთა მინისტრმა მოითხოვა სარენტო ბანკიდან დამატებითი სესხი 200 მილ. სარენტო მარკის რაოდენობით. სარენტო ბანკის საკონტროლო საბჭომ უარი უთხრა მთავრობას კრედიტის მიცემაზე. ეს უარის თქმა უმწეო მდგომარეობაში აგდებს მთავრობას და მოწმობს სარენტო ბანკის დიქტატურას, რომელიც იმყარება მრეწველობაზე და მსხვილ მამულებზე.

რკინის გზები

ბერლინი. 20 დეკ. გერმანიის მთავრობა იხილავს საკითხს სახელმწიფო რკინის გზების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ. დადგენილია დაიწყოს ამ საკითხის შესახებ მოლაპარაკება საოლქო მთავრობებთან.

შრომის ხელფასი.

ბერლინი. 20 დეკ. მრეწველებმა უარი განაცხადეს პროფკავშირთა მოთხოვნილების შესრულებაზე შრომის ხელფასის რენტ-მარკებით გამოანგარიშების შესახებ და დაემუქრენ მუშებს მუშაობის შეწყვეტით.

მრეწველები, პირიქით, კატეგორიულად მოითხოვენ სამუშაო დღის გაგრძელებას. მშვიდობიანობის დროის ხელფასის ორი მესამედი რენტმარკის ანგარიშით უდრის იმავე ხელფასის ერთ მესამედს, რადგან რენტმარკის სყიდვითი უნარიანობა გაცილებით ნაკლებია ოქროს მარკის სყიდვითი უნარიანობაზე.

ფასები იზრდება. ხშირდება სიკვდილის შემთხვევა შიმშილობის ნიადაგზე

ბერლინი. 21 დეკემ. უკანასკნელ 8 დღის განმავლობაში ფასები პირველი მოთხოვნილების საგნებზე კვლავ გაიზარდა 8,4 პროცენტით.

ბერლინი. 21 დეკ. ბერლინში გახშირდა სიკვდილის შემთხვევა შიმშილობის ნიადაგზე. ოფიციალური ცნობით, 1922 წ. 1 იანვრიდან ამ წლის 1 ნოემბრამდე შიმშილობის ნიადაგზე იყო სიკვდილის 177 შემთხვევა.

ჰიტლეროველები ახალ გამოსვლას ამზადებენ

ბერლინი. 20 დეკ. ჰიტლერის მიმდევრები „სამშობლოს დაცვის კავშირებთან“ ერთად ამზადებენ ახალ გამოსვლას იანვრისათვის, რათა ამით ხელი შეუშალონ ამ დროისათვის დანიშნულ ჰიტლერის პროცესს. ამის გამო ბავარიის ხელისუფლებამ გაძლიერებული პატრულები მიუჩინა ლანდტაგს, პოჩტამტს და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებს.

ინგლისი და ავღანისტანი

უკმაყოფილება ინგლისთან.

ლონდონი. 20 დეკემ. ინგლისს და ავღანისტანს შორის წარმოშობილი კონფლიქტის მიზეზი არის ის გარემოება, რომ ინგლის-ავღანისტანის საზღვრებზე გაჩნდენ ბანდები, რომლებიც, თითქოს, სარგებლობენ ავღანისტანის მთავრობის მფარველობით. გასული თვის დასასრულს ინდოეთ-ავღანისტანის საზღვარზე მოკლულ იქნა ინგლისის მაიორი ანდერსონი. ინგლისის საელჩომ ქაბულში მოსთხოვა ავღანისტანის მთავრობას კომპენსაცია მკვლელობისათვის, რაც უკანასკნელს დღემდეც არ შეუსრულებია. მდგომარეობის გამწვავების გამო, ინგლისის საელჩომ ქაბულში გადასწყვიტა გამოიყვანოს საელჩოდან ქალები.

ინდოეთის რეაქციონური პრესა ცდილობს გამოიყენოს კონფლიქტი ავღანისტანთან.

ინგლისის იმპერიალისტური გაზეთი ინდოეთში „პიონერ“-ი აღნიშნავს, რომ ბოლშევიკები ეწევიან ინტრიგებს ავღანისტანთან და თურქესტანში თავს უყრიან არმიას, რომელიც საფრთხეს უმზადებს ავღანისტანის დამოუკიდებლობას.

ინგლისი არჩევნების შემდეგ

მთავრობის შედგენის გარშემო.

ლონდონი. 20 დეკ. იმ აზრის გამო, რომ მაკდონალდი მთავრობის შედგენის შემდეგ წინადადებას მისცემს მეფეს დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ახალი არჩევნები, ასკვიტმა ლიბერალების თათბირზე განაცხადა, რომ მეფეს უფლება აქვს არ მიიღოს ასეთი წინადადება და, რომ მუშათა მთავრობის კრიზისის შემთხვევაში, მას შეუძლია გადასცეს ძალა უფლება მუშათა პარტიის შემდეგ უფრო ძლიერ პარტიას პარლამენტში.

ინგლისის პრესა ერთხმად ამტკიცებს, რომ იანვარში შედგენილ იქნება მუშათა მთავრობა, რომელიც დიდ ხანს ვერ იარსებებს და იძულებული იქნება ადგილი დაუთმოს ლიბერალების პარტიას.

მუშათა პარტიის გეგმები.

ლონდონი. 20 დეკ. გაზეთ „იორკშირ ივნინგ პოსტ“-ში დაიბეჭდა ხელმოუწერელი წერილი მუშათა პარტიის წევრის, რომელიც აღნიშნავს, რომ მუშათა მთავრობის პირველი ნაბიჯი იქნება საბჭოთა მთავრობის იურიდიულად ცნობა და აგრეთვე ელჩის დანიშვნა მოსკოვში. კანდიდატათ ამ თანამდებობაზე წერილი ასახელებს ო'გრედის.

პოლონეთის ამბები

მუშების პასუხი.

ვარშავა. 20 დეკემ. 16 დეკემბერს, პროფკავშირთა სახლში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც გამოვიდნენ პ. ს. პ—ის და პროფკავშირთა ცენტრალურ კომისიის წარმომადგენლები. პოლონეთის სოც. პარტიის შემთანხმებლურ პოლიტიკით აღშფოთებულმა მუშებმა ობსტრუქცია მოუწყვეს ორატორებს და არ მისცეს მათ ლაპარაკის საშუალება. პოლ. სოც. პარტიის ორატორებმა დახურეს მიტინგი. პროფკავშირთა დელეგატების კონფერენციაზე ამ ინციდენტმა მხურვალე დისკუსია გამოიწვია მემარჯვენე და მემარცხენე ჯგუფებს შორის. დისკუსიის დასასრულს წითელმა ფრაქციამ დასტოვა სხდომის დარბაზი.

ახალი კაბინეტი

ვარშავა. 20 დეკ. შესდგა ახალი მთავრობა: პრემიერი და ფინანსთა მინისტრი ვლადისლავ გრაბსკი, შინაგან საქმეთა მინისტრი—სოლტანი სამხედრო მინისტრი—სოსიკოვსკი, მიწათმოქმედების მინისტრი—რაჩინსკი, იუსტიციის მინისტრი ვიგანოვსკი, აგრარული რეფორმების მინისტრი—ლიუტკევიჩი, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი—ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი კედრონი, გზათა მიმოსვლის მინისტრი—ტიმკა, საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრი—რიბჩინსკი, შრომის მინისტრი—დაროვსკი, განათლების მინისტრი—მიკლაშევსკი.

საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა თავისუფალია, რადგან ზამოისკიმ უარი განაცხადა კაბინეტში შესვლაზე. სამინისტროს დროებით ხელმძღვანელობს მოხელე ბერტონი.

გრაბსკის მთავრობა, რომელიც შესდგა ძველი მთავრობის დაცემის და მემარცხენე მთავრობის შედგენის ცდის კრახით დამთავრების გამო, მოხელეების კრებულს წარმოადგენს ეს მთავრობა ფაქტიურად ძველი მთავრობის პოლიტიკას განაგრძობს. მემარცხენე პარტიების ზეგავლენით გრაბსკიმ მოხსნა სკირმუნტის და მოსკალევსკის კანდიდატურა.

ამის შედეგი ის იყო, რომ გრაბსკის მთავრობას ესხმებიან როგორც მემარცხენე ისე მემარჯვენე ჯგუფები. გრაბსკის მხარს დაუჭერენ აგრეთვე მემარცხენე პარტიებიც. ოპოზიციაში რჩებიან მხოლოდ ეროვნული უმცირესობანი.

სხვადასხვა

საბერძნეთი.

რესპუბლიკისთვის ემზადებიან.

ვენა. 20 დეკემბ. საბერძნეთიდან გამგზავრების წინ მეფემ დეპეშა გაუგზავნა ვენიზელოსს, რომელშიაც სთხოვს მას იკისროს ქვეყნის მართვა-გამგეობა. მეფემ უარი განაცხადა ტახტიდან გადადგომის ხელის მოწერაზე. ათინაში ფიქრობენ, რომ რესპუბლიკა ახლო მომავალში გამოცხადდება.

ოფიცერთა კორპუსი მონარქიის გაუქმებას მოითხოვს.

რუმინეთი.

რუსეთის მონარქისტები.

ვენა. 20 დეკ. რუმინეთის კომპარტიის ორგანო „სოციალიზმუს“-ი იუწყება, რომ რუმინეთის მთავრობა დახმარებას უწევს რუსეთის მონარქისტებს. რუსეთის მონარქისტულ მოძრაობის ბელადებმა დიდი ფული მიიღეს რუმინელ კაპიტალისტებისაგან. თუმცა რუმინეთის მთავრობამ უარი განაცხადა რუსეთის მონარქისტებისათვის სუბსიდიის მიცემაზე, იგი მაინც მორალურ დახმარებას უწევს მათ და არავითარ ზომებს არ იღებს მონარქისტულ პროპაგანდის წინააღმდეგ.

საფრანგეთი.

ლიუი ჟიროს გარდაცვალება.

პარიზი. 20 დეკემბერი. გარდაიცვალა პარიზის კომუნის მებრძოლი ლიუი ჟირო—77 წლის.

კომინტერნში

კომინტერნის კოოპერატიული სექცია

მოსკოვი. 21 დეკემბ. კომინტერნის კოოპერატიულ სექციის სხდომაზე ამხ. განსონმა გააკეთა მოხსენება ნორვეგიის კოოპერაციაში კომუნისტების მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კოოპერაციის—კომუნისტების ერთი ნაწილი ნორვეგიის პარტიაში განხეთქილების შემდეგ გადავიდა ტრანმელის ბანაკში, რაბლის მომხრენი, განსონის აზრით, ხელიხელ ჩაკიდებული იმუშავებენ ნორვეგიის კოოპერატივების კომიანჩიკებთან ერთად. კოოპერაციის მომავალ საერთაშორისო კონგრესზე ნორვეგიის კომუნისტები გაიყვანებენ თავიანთ დელეგატებს. ამხ. კომაროვმა საბერძნეთის კოოპერაციის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში, აღნიშნა, რომ კოოპერაცია იქ სუსტადაა განვითარებული. ამას წინად გამართულმა ბალკანეთის კომპარტიის კონფერენციამ დაადგინა გააძლიეროს კოპერაციაში კომუნისტების მუშაობა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კოოპერაციებსა და პროფესიონალურ ორგანიზაციების კავშირს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

საგარეო ვაჭრობის ბრუნვა

მოსკოვი. 21 დეკ საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, ამიერ-კავკასიის გამოკლებით, მიმდინარე წელს გამოიხატება 2818 მილ. მანეთით. ეს ციფრი წარმოადგენს შარშანდელ წლიურ ბრუნვის 84-პროც. აქტივის სალდო უდრის 23220.000 მან. იმპორტის მთავარი საგნებია—თევზი, მარცვალი პური, ბრინჯი, ქვანახშირი, კაუჩუკი, ქიმიური და ფარმაცევტიული მასალა, მანქანები, მანქანის ნაწილები, ორთქლმავლები და ცისტერნები.

მთავარი იმპორტიორები არიან გერმანია და ინგლისი, ექსპორტის საგნებია: პური, კვერცხი, ერბო, ქმიხი, ტყე, ბეწვეული, წყავი, ცხენის ძუა, ნავთის პროდუქტები და ნაწლავი. პურის მთავარი მყიდველი იყო გერმანია, ხოლო ინგლისმა შეისყიდა ნავთის ნაწარმოებთა და ხეტყის გატანილ რაოდენობის ნახევარი. ექსპორტზე გაღებულ ფინანსების მთელი ჯამი 164 მილ. მანეთით გამოიხატა. მთელი იმპორტის ნახევარი შესრულებულია საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ.

რუსეთის ხორბალი

ოდესა. 21 დეკ. რუმინეთის და დუნაის ნავთსადგურების გაყინვის გამო ახლო აღმოსავლეთის და იტალიის ბირჟაზე რუსეთის ხორბლისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

საავიაციო საქმე.

სოხუმი. 20 დეკემ. ტფილისიდან ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის საავიაციო საზოგადოების წარმომადგენელი, ჰაეროდრომის ასაგებად და საზოგადოების წევრების მისაზიდად. განზრახულია რამდენიმე ლექციის წაკითხვა ავიაციის შესახებ.

სოხუმის ქალაქის საბჭო.

სოხუმი. 20 დეკემ. უკანასკნელი ცნობებით, სოხუმის ქალაქის საბჭოში არჩეულია 138 დეპუტატი, ამათგან 16 ქალია, 80 კომუნისტი. პრეზიდიუმში 7 წევრია.

აზერბეიჯანი

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 20 დეკემ. 16—17 დეკემბერის განმავლობაში ბაქოს ყველა სარეწველოებზე ამოუღიათ 1,363,00 ფუთი ნავთი. გამოსახდელად მიწოდებული ყოფილა 787,000 ფ. გამოხდილი დაბრუნებულა 776,000 ფ. დაწმენდილია 150,000 ფუთი. ბურღვაზე უმუშავნია 167 დაზგას. ჩაუბურღიათ 99 საჟენი.

დისკუსიის, ამხ. რაფაილის, ამხ. პრეობრაჟენსკის და საპრონოვის წერილების და ამხ. ტროცკის წერილის შესახებ

დისკუსია შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, რომელიც რამდენიმე კვირის წინათ დაიწყო, როგორც ჩანს მთავრდება, თუ მხედველობაში მივიღებთ მოსკოვს და პეტროგრადს. პეტროგრადმა როგორც ყველამ იცის, მხარი დაუჭირა პარტიის ძირითად ხაზს. მოსკოვის მთავარი რაიონებიც ც. კ. ხაზის მომხრე არიან. მოსკოვის ორგანიზაციის აქტიური მუშაკების საერთო საქალაქო კრებამ 11 დეკემბერს სავსებით მოიწონა პარტიის ც. კ. ორგანიზაციული და პოლიტიკური ხაზი. არ არის არავითარი საბუთი ეჭვის შეტანისათვის იმაში, რომ მოსკოვის ორგანიზაციის მომავალი საერთო პარტიული კონფერენციაც თავისი რაიონების გზით წავა. ოპოზიცია, რომელიც წარმოადგენს მემარცხენე კომუნისტების ნაწილის (პრეობრაჟენსკი, სტუკოვი, პიატაკოვი და სხვ.) ბლოკს ე. წ. დემოკრატიულ ცენტრალისტებთან (რაფაილ, საპრონოვი და სხვ.) დამარცხდა.

საინტერესოა დისკუსიის მიმდინარეობა და ის ცვალებადობა, რომელიც განიცადა ოპოზიციამ დისკუსიის განმავლობაში.

ოპოზიციამ დაიწყო იქედან, რომ მოითხოვა არც მეტი არც ნაკლები პარტიის ძირითადი ხაზის გადასინჯვა შინაპარტიული მშენებლობის და შინაპარტიული პოლიტიკის სფეროში ორი უკანასკნელი წლის, ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთელი პერიოდის განმავლობაში. მოითხოვდა რა შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ მეათე ყრილობის რეზოლიუციის ცხოვრებაში სავსებით გატარებას, ოპოზიცია ამასთან ერთად საჭიროდ სთვლიდა იმ შეზღუდვათა (ჯგუფების აკრძალვა, პარტსტაჟი და სხვ.) გაუქმებას რომლებიც მიღებული იქნენ პარტიის მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე ყრილობების მიერ. ამტკიცებდა რა, რომ პარტია არსებითად გარდაიქცა არმიის ტიპის ორგანიზაციად, პარტიული დისციპლინა კი—სამხედრო დისციპლინად, ოპოზიცია მოითხოვდა მთელი პარტიული აპარატის შეცვლას თავიდან ბოლომდი, მთავარი მუშაკების მოხსნას თანამდებობიდან და სხვა. (იხ. ამხ. ამხ. პრეობრაჟენსკი და საპრონოვის წერილები „პრავდა“-ში). ც. კომიტეტისადმი მაგარი სიტყვებსა და ლანძღვა-გინებაში, რასაკვირველია, არ იყო ნაკლებობა. „პრავდა“ ავსებული იყო გრძელი თუ მოკლე წერილებით, რომელიც ც. კ. ბრალს დებდენ ყველა ცოდვებში. არ დაუდვიათ ბრალი მხოლოდ იაპონიის მიწისძვრისათვის.

ც. კ. მთლიანად ამ ხნის განმავლობაში არ ერეოდა დისკუსიაში „პრავდა“-ს ფურცლებზე, საშუალებას აძლევდა პარტიის წევრებს გამოეყენებიათ კრიტიკის სრული თავისუფლება. ის საჭიროდ არ სთვლიდა იმ ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებების უარყოფასაც, რომლებსაც ხშირად აყენებდენ კრიტიკოსები, ფიქრობდა რა, რომ პარტიის წევრები საკმაოდ შეგნებული არიან იმისთვის, რომ დამოუკიდებლად გადასჭრან განსახილველი საკითხები.

ეს იყო, ასე რომ ვსთქვათ, დისკუსიის პირველი პერიოდი.

შემდეგში, როცა მაგარი სიტყვები მობეზრდათ, ლანძღვა-გინებამ გავლენა დაჰკარგა და პარტიის წევრებმა მოითხოვეს საკითხის საქმიანი განხილვა,—დაიწყო დისკუსიის მეორე პერიოდი. დაიწყო ის პარტმშენებლობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეზოლიუციის გამოქვეყნებით. ხელმძღვანელობდა რა ც. კ. ოქტომბრის პლენუმის დადგენილებით, რომელმაც მოიწონა კურსი შინაპარტიული დემოკრატიისაკენ. ც. კ. პოლიტბიურომ და ც. ს. კ. პრეზიდიუმმა გამოიმუშავეს ცნობილი რეზოლიუცია, რომელშიაც ნაჩვენები იყო შინაპარტიული დემოკრატიის გატარების პირობები. ამ აქტით შეიქმნა გარდატეხა დისკუსიის მსვლელობაში. ახლა უკვე აღარ შეიძლებოდა დაკმაყოფილება კრიტიკით საერთოდ. ც. კ. და ც. ს. კ. მიერ წარმოდგენილი კონკრეტიული გეგმა, ოპოზიციისაგან მოითხოვდა ან გეგმის მიღებას, ან მეორე, პარალელური, შინაპარტიული დემოკრატიის გატარების ასეთივე კონკრეტიული გეგმის წარმოდგენას. სწორედ აქ გამოირკვა, რომ ოპოზიციას არ ძალუძს დაუპირისპიროს ც. კ. გეგმას თავისი კონკრეტიული გეგმა, რომელიც შესძლებს პარტიული ორგანიზაციების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. დაიწყო ოპოზიციის უკან დახევა. ოპოზიციის არსენალიდან გაქრა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შინაპარტიულ მშენებლობაში პარტიის ძირითადი ხაზის გადასინჯვის მოთხოვნა. ფერი დაჰკარგა და გაიცვითა ოპოზიციის მოთხოვნილება დემოკრატიის შეზღუდვის გაუქმების შესახებ, რომელიც მიიღო მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე ყრილობამ. უკანა რიგში გადადვეს და შეარბილეს მოთხოვნილება აპარატის თავიდან ბოლომდი შეცვლის შესახებ. ოპოზიციამ საჭიროდ აღიარა ყველა ამ მოთხოვნილებების შეცვლა წინადადებებით „ფრაქციების საკითხის გარკვევით ჩამოყალიბების შესახებ“, „ყველა იმ პარტორგანიზაციების ხელახალი არჩევნების შესახებ, რომლებიც წინად დანიშნული იყვნენ“, „დანიშვნის როგორც სისტემის მოსპობა“ და სხ. (იხ. ამხ პრეობრაჟენსკის და სხვ. რეზოლიუციები 12 დეკემბრის „პრავდა“-ში). დამახასიათებელია ის, რომ ოპოზიციის ეს დიდათ შერბილებული წინადადებებიც კი „ჩააფლავეს“ წითელი პრესის და ზამოსკვორეჩიეს ორგანიზაციებმა, რომლებიც ხმების დიდი უმრავლესობით მიესალმენ ც. კ. და ც. ს. კ. რეზოლიუციას.

ეს იყო, ასე შეიძლება ითქვას, დისკუსიის მეორე პერიოდი.

ამ ჟამად ჩვენ შევედით მესამე პერიოდში. ამ პერიოდს ახასიათებს ოპოზიციის შემდეგი, მე ვიტყოდი, უწესრიგო უკანდახევა ფერდაკარგული და დიდათ შერბილებული მოთხოვნილებებიც კი აღარ ამშვენებს ახლა მათ რეზოლიუციებს. ამხ. პრეობრაჟენსკის უკანასკნელი რეზოლიუცია (თუ არ ვცდები, მესამე ანგარიშით), რომელიც წარედგინა მოსკოვის ორგანიზაციის აქტიური მუშაკების კრებას (ათას კაცზე მეტი) ამბობს:

„პოლიტბიუროს რეზოლიუციის მხოლოდ სწრაფად, ერთსულოვნად და გულწრფელად გატარებას, კერძოთ კი შინაპარტიული აპარატის განახლებას არჩევნების საშუალებით, შეუძლია უზრუნველჰყოს ჩვენი პარტიისათვის გადასვლა ახალ კურსზე უმტკივნეულოდ და შინაური ბრძოლის გარეშე და გააძლიეროს მისი რიგების ნამდვილი სიმტკიცე და მთლიანობა“.

არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კრებამ უარყო ოპოზიციის ეს ყოვლად „უწყინარი“ რეზოლიუციაც კი. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ კრებამ ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლიუცია „ც. კ. პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზის მოწონების“ შესახებ.

ამხ. რაფაილის შესახებ.

მე ვფიქრობ, რომ ამხ. რაფაილი არის ახლანდელი ოპოზიციის ან უფრო სწორათ რომ ვსთქვათ ოპოზიციის ახლანდელი ბლოკის ყველაზე უფრო სწორი მიმდევარი და დამთავრებული წარმომადგენელი. ერთ-ერთ სადისკუსიო კრებაზე ამხ. რაფაილმა განაცხადა, რომ ჩვენი პარტია არსებითად გარდაიქცა სამხედრო ორგანიზაციად, რომ დისციპლინა მასში სამხედრო არის და რომ ამიტომ პარტიის მთელი აპარატი მთლიანად უნდა შეიცვალოს, როგორც უვარგისი და ნამდვილი პარტიული სულისათვის უცხო რამ. მე ვფიქრობ, რომ ასეთი ან მსგავსი აზრები ტრიალებენ ახლანდელი ოპოზიციონერების თავში, მაგრამ ისინი სხვადასხვა მოსაზრებების გამო ვერ ბედავენ მათ გამოთქმას. უნდა ვაღიაროთ, რომ ამხ. რაფაილი ამ მხრივ უფრო გაბედული აღმოჩნდა ვიდრე სხვა მისი კოლეგები ოპოზიციიდან.

მაგრამ მაინც ამხ. რაფაილი არსებითად არ არის მართალი. არ არის მართალი არა მარტო ფორმალურად, არამედ პირველყოვლისა არსებითად. ვინაიდან თუ ჩვენი პარტია მართლა გარდაიქცა სამხედრო ორგანიზაციად, ნუ თუ მაშინ ნათელი არ არის, რომ ჩვენ მაშინ არ გვეყოლებოდა არც პარტია, ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით, არ გვექნებოდა არც პროლეტარიატის დიქტატურა და არც რევოლიუცია?

რა არის არმია?

არმია ეს არის კარჩაკეტილი ორგანიზაცია, რომელიც ზევიდან შენდება.

არმიის არსი მოითხოვს, რომ მის სათავეში იდგეს შტაბი, რომელიც დანიშნულია ზევიდან და რომელიც არმიას ქმნის იძულებითი მეთოდებით. შტაბი არა მარტო ქმნის არმიას,—არამედ ზრუნავს მასზე, აცვამს, აჭმევს და სხვა. არმიის მთელი შემადგენლობა მატერიალურად სავსებით დამოკიდებულია შტაბისაგან. ამაზეა, სხვათაშორის, დამოკიდებული ჯარის ის დისციპლინა, რომლის დარღვევა იწვევს დასჯის სპეციფიურ ფორმას—დახვრეტას. ამითვე შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ შტაბს შეუძლია აამოქმედოს და გაგზავნოს არმია, როდესაც სურს და სადაც სურს და ამ შემთხვევაში ანგარიში გაუწიოს მხოლოდ საკუთარ სტრატეგიულ გეგმებს.

რა არის პარტია?

პარტია ეს არის პროლეტარიატის მოწინავე რაზმი, რომელიც შენდება ქვევიდან სრული ნებაყოფლობის ნიადაგზე. პარტიასაც ყავს საკუთარი შტაბი, მაგრამ ის ინიშნება არა ზევიდან, არამედ ირჩევა ქვევიდან მთელი პარტიის მიერ. პარტია ეწყობა თვითონ ნებაყოფლობითი საფუძვლებზე. აქ არ არის ის მატერიალური დამოკიდებულება პარტიის შტაბსა და პარტიას შორის მთლიანად, რომელზედაც ლაპარაკი იყო ზევით არმიის მიმართ. პარტიის შტაბი არ აცვამს და აჭმევს პარტიას. ამით, სხვათაშორის, აიხსნება ის ფაქტი, რომ პარტიის შტაბს არ შეუძლია პარტიის რიგების ამოძრავება თავისი ნებისამებრ საიდაც უნდა და როცა უნდა, რომ პარტიის შტაბს შეუძლია უხელმძღვანელოს პარტიას მთლიანად მხოლოდ იმ კლასის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების ხაზით, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს თვით პარტია. აქედან—პარტიული დისციპლინის განსაკუთრებული ხასიათი, რომელიც არსებითად შენდება დარწმუნების მეთოდის ხაზით და ამით განსხვავდება ის ჯარის დისციპლინისაგან, რომელიც შენდება უმთავრესად იძულებითი მეთოდის ხაზით. აქედან—ძირითადი განსხვავება პარტიის უმაღლეს სასჯელსა (პარტიიდან გამორიცხვა) და არმიის უმაღლეს სასჯელს შორის (დახვრეტა).

საკმაოა ამ ორი დახასიათების შედარება, რომ ნათელი გახდეს ამხ. რაფაილის შეცდომის მთელი საშინელება.

— პარტია,—ამბობს ის,—გარდაიქცა სამხედრო ორგანიზაციად. მაგრამ როგორ შეიძლება პარტიის გადაქცევა სამხედრო ორგანიზაციად, თუ ის მატერიალურად დამოკიდებული არ არის თავის შტაბისაგან, თუ ის შენდება ქვევიდან ნებაყოფლობითი საფუძვლებზე, თუ ის თვითონ ქმნის თავის შტაბს? რით აიხსნება ამ შემთხვევაში მუშების ლტოლვა პარტიისაკენ, მისი გავლენის ზრდა უპარტიო მასაში, მისი პოპულიარობა მთელი ქვეყნის მშრომელთა შორის?

ორში ერთი:

ან პარტია სრულიად პასიური და უხმოა,—მაგრამ მაშინ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ასეთ პასიურ და უხმო პარტიას თან მიჰყავს მსოფლიოში ყველაზე უფრო რევოლიუციონური პროლეტარიატი და უკვე რამდენიმე წელია განაგებს მსოფლიოში ყველაზე რევოლიუციონურ ქვეყანას?

ან პარტია აქტიური და თვითმოქმედია,—მაგრამ მაშინ გაუგებარია, თუ რატომ არ დაიხსნა ასეთმა აქტიურმა და თვითმომქმედმა პარტიამ სამხედრო რეჟიმი პარტიაში, თუ ის ნამდვილათ არსებობს პარტიის შიგნით?

ნუ თუ ნათელი არ არის, რომ ჩვენი პარტია, რომელმაც ჩაატარა რევოლიუციის სამი წელი, რომელმაც დაამსხვრია კოლჩაკი და დენიკინი და ამ ჟამად არყევს მსოფლიო იმპერიალიზმის საფუძვლებს,—რომ ეს პარტია ერთ კვირასაც კი არ მოითმენდა იმ სამხედრო რეჟიმს და ბრძანებითი წყობილებას, რომლებზედაც ასე ადვილად და მოურიდებლად ლაპარაკობს ამხ. რაფაილი, რომ ის ერთ წუთში დაამსხვრევდა მათ და დაამყარებდა ახალ რეჟიმს ამხ. რაფაილის მოწოდებისათვის და უცდელად.

Но страшен сон, да милостив бог. საქმე იმაშია, პირველყოვლისა, რომ ამხ. რაფაილმა ერთმანეთში აურია არმია და პარტია, ვინაიდან როგორც ჩანს ის კარგად არ იცნობს არც არმიას და არც პარტიას. საქმე იმაშია, მეორეთ, რომ ამხ. რაფაილს, როგორც ჩანს, თვითონაც არ სჯერა თავისი აღმოჩენის,—მას ესაჭიროება „საშინელი“ სიტყვები პარტიაში ბრძანებითი წყობილების შესახებ იმისათვის, რომ დაასაბუთოს ახლანდელი ოპოზიციის მთავარი ლოზუნგები: ა) ფრაქციული ჯგუფების თავისუფლების და ბ) პარტიის ხელმძღვანელ ელემენტების თანამდებობიდან მოხსნის შესახებ ქვედა ფენებიდან მაღლა ფენებამდი.

ამხ. რაფაილი როგორც ჩანს გრძნობს, რომ „საშინელი“ სიტყვების გარეშე ვერ გაათრევს ამ ლოზუნგებს:

ამაშია საქმე.

ამხ. პრეობრაჟენსკის წერილის შესახებ.

(იხ. „პრავდა“ № 270.)

შინაპარტიულ ცხოვრების ნაკლულევანებათა მთავარ მიზეზს ამხ. პრეობრაჟენსკი ხედავს პარტიულ მშენებლობის პარტიის მთავარ ხაზის უსწორმასწორობაში. ამხ. პრეობრაჟენსკი ამტკიცებს, რომ:

„უკვე ორი წელიწადია რაც პარტიის ხაზი, შინაპარტიულ პოლიტიკის ხაზი გაზრილია“, რომ „პარტიის ხაზი შინაპარტიულ პოლიტიკაში ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პერიოდში“, უსწორ-მასწორო აღმოჩნდა.

რაში მდგომარეობს პარტიის მთავარი ხაზი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პერიოდში? პარტიამ თავის 10 ყრილობაზე მიიღო რეზოლიუცია მუშათა დემოკრატიის შესახებ. სწორად მოიქცა თუ არა პარტია, როცა ასეთი რეზოლიუცია მიიღო? ამხ. პრეობრაჟენსკი ფიქრობს, რომ იგი სწორად მოიქცა. პარტიამ იმავე 10 ყრილობაზე მიიღო დემოკრატიის სერიოზული შეზღუდვა ჯგუფების აკრძალვის სახით. სწორად მოიქცა თუ არა პარტია, როცა ასეთი შეზღუდვა მიიღო? ამხ. პრეობრაჟენსკი ფიქრობს, რომ პარტია ვერ მოიქცა სწორად, ვინაიდან ასეთი შეზღუდვა მისი აზრით გასაქანს არ აძლევს დამოუკიდებელ პარტიულ აზრს. პარტიამ 11-ე ყრილობაზე მიიღო დემოკრატიის ახალი შეზღუდვანი, განსაზღვრულ პარტიული სტაჟის და სხვათა სახით. 12-ე პარტყრილობამ მხოლოდ დაადასტურა ეს შეზღუდვანი. სწორად მოიქცა თუ არა პარტია როცა მიიღო ასეთი შეზღუდვანი, როგორც გარანტია წვრილ-ბურჟუაზიულ ტენდენციების წინააღმდეგ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში. ამხ. პრეობრაჟენსკი ფიქრობს, რომ პარტია მოიქცა არა სწორად, ვინაიდან ამ შეზღუდვამ გასაქანი არ მისცა პარტიულ ორგანიზაციების თვითმოქმედებას. დასკვნა ნათელია: ამხ. პრეობრაჟენსკი წინადადებას იძლევა გაუქმებულ იქნას პარტიის ის მთავარი ხაზი ამ დარგში, რომელიც 10 და 11 ყრილობებმა მიიღეს ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში.

მაგრამ მეათე და მეთერთმეტე პარტყრილობები ჩატარდენ ამხ. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით. რეზოლიუცია ჯგუფების აკრძალვის (მთლიანობის) შესახებ შეტანილი და გაყვანილი იქნა მე-10 ყრილობაზე თვით ამხ. ლენინის მიერ. დემოკრატიის შემდეგი შეზღუდვა, განსაზღვრულ პარტსტაჟის და სხვა სახით, მიღებულ იქნა მე-11 ყრილობის მიერ ამხ. ლენინის უახლოესი მონაწილეობით. მაგრამ ხვდება თუ არა ამხ. პრეობრაჟენსკი, რომ ის, არსებითად, წინადადებას იძლევა გაუქმებულ იქნას ლენინიზმთან დაკავშირებული ხაზი ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში? ნუ თუ ამხ. პრეობრაჟენსკის არ ჰგონია, რომ მისი წინადადება პარტიის პარტმშენებლობის მთავარი ხაზის გაუქმების შესახებ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში არის არსებითად იმ საკმაოდ ცნობილ „ანონიმურ პლატფორმის“ ზოგიერთ წინადადებების განმეორება, რომელიც მოითხოვდა ლენინიზმის რევიზიას?

საკმარისია დავაყენოთ ეს საკითხები, იმის გასაგებათ, რომ პარტია არ გაჰყვება ამხ. პრეობრაჟენსკის გზას.

რას გვირჩევს ამხ. პრეობრაჟენსკი? ის გვირჩევს, არც მეტი არც ნაკლები, პარტიულ ცხოვრების აღდგენას „1917—1918 წ. წ. ტიპის მიხედვით“. რით განსხვავდება ამ მხრივ 1917—1918 წლები? იმით, რომ მაშინ არსებობდენ ჩვენ პარტიაში ჯგუფები და ფრაქციები, რომ მაშინ სწარმოებდა ჯგუფების აშკარა ბრძოლა, რომ პარტია განიცდიდა მაშინ კრიტიკულ წუთებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის საბჭოს არჩევნები

ნების შედეგები მე-3 რაიონში

კომისია ამხ. ამხ. ვართაპეტოვის (თავმჯდომარე), ალი-ტაგი-ზადეს და ლოვის შემადგენლობით ტფილისის საბჭოს საარჩევნო მუშაობას შეუდგა 5 დეკემბერს.

არჩევნები ჩატარდა მე-3 რაიონის დაწესებულებასა და წარმოებებში.

რაიონში, მუშათა ცოლების, უმაღლეს სასწავლებლის და განათლების მუშაკთა ბით, აღრიცხული იყო 5.619 ამრჩეველი.

არჩევნებს ყველა დაწესებულებაში წინ უძღოდა მესამე მოწვევის ტფილისის საბჭოს მოქმედებისა და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებები.

მუშებისა და მოსამსახურეების სულიერი განწყობილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ თანაგრძნობით გამსჭვალული.

მომელი მასა აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნაკაზის განხილვის და შეჰქონდა მასში ესა თუ ის შესწორებები.

მე-3 რაიონის ამრჩევლების საერთო რიცხვიდან არჩევნებს დაესწრო , ე. ი. 84,3 პროცენტი. ამ რიცხვიდან საბჭოში არჩეულია 69 წევრი, აქედან 14 უპარტიო (სამი ყოფილი მენშევიკი) ე. ი. დეპუტატების საერთო რაოდენობის პროცენტი, 7—ახალ. კომ. კავ. , და 48 კომპარტიის წევრი. ქალი—13, ვაჟი—56.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით მუშა—44, მოსამსახურე—25.

ეროვნების მიხედვით—ქართველი— , სომეხი—29, თათარი—10, რუსი , ებრაელი—1, ლატიში—1, პოლონელი—1, ბერძენი—1.

საბჭოს ყოფილ წევრთაგან არჩეულია—40.

არჩეულია 40 კანდიდატი. ამ რიცხვიდან უპარტიოა—21, კომუნისტი 12, ახ. კომ. კავ. წევრი—6, ქალი , ვაჟი—32.

სოციალური მდგომარეობით: მუშა—33, მოსამსახურე—7.

ეროვნების მიხედვ თ: ქართველი , სომეხი—17, თათარი—5, —4.

არჩევნების შედეგები ტფილისის გარნიზონში.

წითელარმიელთა დეპუტატების არჩევნები ტფილისის საბჭოსათვის დაიწყო 15 ნოემბერს და დასრულდა დამლევს.

საარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდა საგარნიზონო კომისია, რომელშიაც შედიოდენ ქართული დივიზიის, საკავალერიო ბრიგადის, გარნიზონის პოლიტსამდივნოს წარმომადგენელნი. ამავე დროს გარნიზონი დაყოფილი იყო საარჩევნო რაიონებად, სადაც მუშაობას აწარმოებდენ საგარნიზონო კომისიის რწმუნებულნი.

აღსანიშნავია ორი საყურადღებო გარემოება, რომელიც ასხვავებს ახლახან დასრულებულ არჩევნებს წინა წლების არჩევნებისაგან, სახელდობრ ის, რომ უკანასკნელი არჩევნები ჩატარდა მწყობრად, ორგანიზაციულად და დიდი ცხოველმყოფელობით და მეორე ის, რომ საარჩევნო კამპანიამ დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო პოლიტ-მუშაკებში, საკომანდო შემადგენლობასა წითელარმიელებში, არამედ ყველა სამხედრო მოსამსახურეებში.

საბჭოს ყოველ წევრის მოხსენებების მიხედვით მესამე მოწვევის საბჭოს და მისი აღმასკომის წარსული მოქმედება საარჩევნო ყრილობების მიერ ერთხმად მოწონებული იქნა. კრებების მიერ ერთხმად იქნა მიღებული ს. კ. პ. ცეკას და ტეკას ნაკაზები.

დასრულებულმა არჩევნებმა ცხად ჰყვეს კომპარტიის დიდი ავტორიტეტი და ნდობა წითელარმიელთა მხრივ.

სულ ტფილისის გარნიზონმა აირჩია საბჭოში 103 დეპუტატი.

ამ რიცხვიდან კომუნისტი—90 ია, ახ. კომ. კავ. წევრი—1, უპარტიო 12

სოციალური მდგომარეობის მიხედვით: მუშები—36 პროცენტი, გლეხი—21 პროცენტი, და სხვა სოციალური წრიდან—43 პროც. რაც შეეხება სამხედრო-პირთა ოჯახის წევრებს, ისინი ცხოველ მონაწილეობას იღებდენ არჩევნებში სხვა სამოქალაქო ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებთან ერთად.

ტფილისის საბჭოს არჩევნების შედეგები პირველ რაიონში

საარჩევნო კომისია გოლდბაუმის, ფანცულაიას და ვაშაკიძის შემადგენლობით, საარჩევნო მუშაობას შეუდგა 4 დეკემბერს. არჩევნები დასრულდა 11 დეკემბერს. არჩევნები ჩატარდა რკინისგზის 14 მსხვილ წარმოებასა და სხვა დაწესებულებაში. პირველ საარჩევნო კრებას დაესწრენ რ.-გზის მუშათა ცოლები და უმუშევარი ქალები.

საარჩევნო კომისია თავის მოხსენებებში ვრცლად აშუქებდა მესამე მოწვევის საბჭოს მოქმედება მოღვაწეობას.

მასის საერთო სულიერი განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი თანაგრძნობით არის გამსჭვალული, და მათი მონაწილეობა არჩევნებში სრული შეგნებით და აქტივობით იყო სავსე.

პირველი რაიონის ამრჩეველთა საერთო რაოდენობა—9,585 უდრის, მონაწილეობა მიიღო 9 ათასზე მეტმა ამომრჩეველმა.

ამ რაიონიდან არჩეულია 92 დეპუტატი და 33 კანდიდატი.

92—დეპუტატიდან კომპარტიის წევრი—64 კაცი, ახ. კომ. კავ. წევრი—4 კაცი, უპარტიო—17 კაცი, და ყოფილი მენშევიკი 7 კაცი.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით არჩეულ წევრებისა და კანდიდატებიდან უმრავლესობა ეკუთვნის მუშებს:—88 კაცი, დანარჩენი მოსამსახურეები და ინტელიგენცია (37 კაცი).

ეროვნების მიხედვ ?: ქართველი—72 კაცი, რუსი—29 კაცი, სომეხი—11 კაცი, ებრაელი—4 კაცი და სხვა ეროვნების (ოსი, პოლონელი, ლიტველი და სხვა)—9 კაცი.

მედიკო-სანიტარულ მუშაკთა საარჩევნო კრებაზე არჩეულ დეპუტატთა სიაში გამოტოვებულია ამხ. ლეონ მიროტაძე, (კომუნისტი), რომელიც ერთხმად იქნა არჩეული.

არჩეულნი არიან.

1) **ცეცხლისმქრობელთაგან:** ამხ. ავაკოვი (კომ.). კანდიდატად: ამხ. ტრუბაჩევის ქალი.

2) **ორთაჭალის მრთველ ქალებისაგან:** ამხ. ამხ. აირაპეტოვისა (კომ.) ალექსანდროვის ქალი (კომ.), აივაზოვის ქალი (კომ.), რასულზადე (კომუნისტი); კანდიდატებად ამხ. ამხ. მანდაკუნი და გიულუმ ჰუსეინოვი (უპარტიონი).

პარტიული ცხოვრება

საქ. კომ. პარტ. ტფ. კომიტეტის (ბ) გაფართოებული პლენუმის დადგენილება მიღებულ 1923 წ. 20 დეკემბერს პარტ. დისკუსიის შესახებ.

„ტფ. კომიტეტის პლენუმმა, მოისმინა რა ამხ. ელიავას მოხსენება პარტიის შინაგანი მდგომარეობის შესახებ მთლიანად და სავსებით ეერთდება პეტროგრადის ორგანიზაციის დადგენილებებს და მის უკანასკნელ წერილს.

ტფ. კომიტეტის პლენუმი ფიქრობს, რომ პარტმშენებლობა უნდა სწარმოებდეს რ. კ. პ. ც. კომიტეტის რეზოლიუციის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს სწორ გზას პარტიის შემჭიდროებისათვის.

ტფ. კომიტეტის პლენუმი გადაჭრით კიცხავს ყოველგვარ ფრაქციულობას და ჯგუფობრივობას, და საჭიროდ სთვლის პარტიის შიგნით დემოკრატიის განხორციელებას რ. კ. პ. ცენტრ-კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელიც კვლავინდებურად აღჭურვილი უნდა იყოს განუსაზღვრელის ნდობით პარტორგანიზაციებისა და საერთოდ მთელი პარტიის მხრივ“.

ა.-ქ. კომუნისტური უნივერსიტეტის კომპარტიის და კომკავშირის უჯრედები

ხსენებული უჯრედები თავისი ფუნქციას ასრულებენ ა|წ. სექტემბრის ბოლო ხანებიდან. ბიუროებს, როგორც უჯრედების ხელმძღვანელი ორგანოებს, პირველ ხანებში მეტად სპეციფიური პირობებში უხდებოდათ მუშაობა. უნივერსიტეტი იმყოფებოდა ორგანიზაციულ პერიოდში; ამხანაგები, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ ა|კ ფედერაციის სხვადასხვა კუთხებიდან, არ იცნობდნენ ერთიმეორეს, არ იყო მჭიდრო კავშირი მათ შორის, არ იყო თვისებრივი აღრიცხვა თვითეული ამხანაგისა და მეცადინეობა-გამოცდებით ყველანი დატვირთული იყვნენ. კომუჯრედს მჭიდრო კავშირი აქვს ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტთან არსებული კომსტუდენტების ცენტრ. ბიუროსთან ამხ. ვ ლენინის სახელობის პოლიტეხნიკუმის უჯრედთან და სამხედრო პოლიტიკური სკოლის უჯრედთან, რომელიც გამოიხატება წარმომადგენლების გაგზავნაში. უჯრედებს მჭიდრო კავშირი აქვთ სათანადო რაიკომებთან, მდივნების და სადელეგატო კრების საშუალებით; აგრეთვე ურთიერთ შორის ხშირად ხდება გაერთიანებული სხდომები როგორც ბიუროების, ისე მთელი უჯრედების ერთიან პარტიულ დღეს.

არსებობს 15 პარტიული წრე, რომლებშიაც ამა სამოსწავლო წელს გარჩეული იქნა ორი თემა:

1. ძალაუფლების ხელში ჩაგდება რუსეთში და გერმანიაში. 2. ორგანიზაციული და ტაქტიკური კითხვები გერმანიის რევოლიუციისა. გადამუშავებული იქნა მაქსიმუმი მასალა სხდომისათვის (სხდომამდის ცხადდება ლიტერატურა). პარტიული წრე მიზნად ისახავს გააშუქოს ესა თუ ის კითხვა დიალექტიური მეთოდით და იმავე დროს უმთავრესი ადგილი აქვს დათმობილი მარქსიზმის და ლენინიზმის შესწავლას, თეორეტიულად, პრაქტიკულად, ტაქტიკურად და სტრატეგიულად—ისე, რომ ეს ყველაფერი ერთი მეორეზე იქნეს შედუღებული. პარტიულ წრეში მეცადინეობამ მოგვცა სასურველი შედეგი; თითქმის 100 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა დისკუსიაში.

ბიუროებს აქვთ თავისი ორგანო „ოცდაექვსი“ ქართული, სომხური და თურქული ენის ფილიალით, მაგრამ ხსენებული ფილიალები ძლიერ მოისუსტებენ. უჯრედის წევრნი იწერენ ც. ორგანო „პრავდა“-ს და აგრეთვე ადგილობრივი კომპარტიის და კომკავშირის ორგანოებს. განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის მეცადინეობა სწარმოებს რეგულიარულათ კვირაობით.

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ უჯრედის ბიუროები თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ უნივერსიტეტის სააღმშენებლო დარგში; უნივერსიტეტის კომპარტიის უჯრედში ირიცხება 213 ამხ. და კომუნისტური კავშირისაში 135 ამხ. კომკავშირის ბიურომ გამოყო 23 ამხ. აქტივისტები, პოლიტიკურად მომზადებულნი ტფილისის ორგანიზაციის უჯრედების ინსტრუქტორებათ, რომლებიც აწარმოებენ რეგულიარულ მეცადინეობას.

ლ. [illegible]

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში.

(21 დეკემბერი).

ჩერვონცები — — —	350,000
ჯირ. სტერლინგ. ეფექტ.	343,000
ჩეკები —	343,000
დოლარები ეფექტ.	80,000
ჩეკები —	76.000
თურქ. ქაღ. ლირა	46.500
იტალიური ლირა	2450
ფრანგული ფრანკი	3675
საბჭ. ფულის ნიშნები	16

სურსათის ფასები

პური 1 ხარ.—1500 ათ., პური 2 ხარ—1250, ძროხის ხორცი—4,500 ათ. ცხვრის ხორცი—6000 ათ., შაქარი რაფინადი—16,900 ათასი, ფხვნილი შაქარი—10,725 ათ. ვერმიშელი—4900 ათ. ბრინჯი ალდ.—2600. ათ. კარტოფილი—500. ათ.

ჩერვონცების და ამიერკავკასიის ბონების შეფარდება

(21 დეკემბერი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	— 350.000,	60 კ.	— 21.000.000
2 „	— 700.000,	70 „	— 24.500.000
3 „	—1.050 000,	80 „	— 28 00.0000
4 „	—1.400.000,	90 „	— 31.500.000
5 „	— 1.750.000,	1 მ.	— 35.000.000
6 „	—2.100.000,	2 „	— 70.000.000
7 „	—2 450.000,	3 „	—105.000.000
8 „	—2.800.000,	4 „	—140.000.000
9 „	—3.150.000,	5 „	—175.000.000
10 „	—3.500.000,	6 „	—210.000 000
20 „	—7.000.000,	7 „	—245.000.000
30 „	—10.500.000,	8 „	—280.000.000
40 „	—14.000.000,	9 „	—315.000.000
50 „	—17.500 000,	1 ჩერ.	350.000.000

წითელ ჯარში

წითელი კლუბი

ქართულ მეთაურთა შეერთებულ სკოლის კლუბი კარგად მუშაობს. კურსანტები დიდის ენერგიით ეკიდებიან საქმეს.

დრამატიული სექცია სდგამს კურსანტების მიერ დაწერილ ინსცენიროვკებს და სხვა რევოლიუციონურ პიესებს.

რამოდენიმე კვირის განმავლობაში მან მოაწყო ხუთი სალამო-წარმოდგენა, ოთხი საუბარი, ორი ლექცია, პროლეტარულ ხელოვნებაზე და თეატრის ახალ მიზნებზე.

დიდ დახმარებას გვიწევენ ამ დარგში ამხ. სანდრო ეული და სოსო გედევანიშვილი, რომელნიც ყოველ შაბათ დილას გვიკითხავენ ლექციებს. მომღერალთა გუნდმა მოაწყო სამი სალამო-კონცერტი. ლიტერატურულმა წრემ მოაწყო დილა, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა ამხ. გედევანიშვილი, რომლის შემდგომ კურსანტებმა გაარჩიეს. დ. ჩახელის „იის ნაამბობი“ მზადდება ახალი ინსცენიროვკები: „ახალი მეთაური“ და „საქართველო გასაბჭოებულია“.

ბექი.

ქრონიკა

— **აქციზის მოხსნა გასატან შაქარზე.** ა|კ. ფინანსთა კომისარიატმა საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მიერ სპარსეთში გასატან შაქარზე მოხსნა სააქციზო გადასახდი.

— **დახმარების გაცემა.** უმუშევართა დამზღვევი განყოფილება დღეს 22 დეკემბერს დეკემბრის დახმარებას მისცემს ხელზე მომუშავეთა მედიკო-სანიტარულ და ფოსტა-ტელეგრაფის სექციების უმუშევარ წევრებს.

— **ხელ-ახალ აღრიცხვაზე 15—17 დეკ.** შრომის ბირჟაში ხელ-ახალ აღრიცხვაზე გამოცხადდა—637 უმუშევარი. აღრიცხვაზე დატოვებული იქნა 623 უმუშევარი. ხოლო აღრიცხვიდან სრულებით მოიხსნა—14.

— **საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლება.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა საზღვარ გარეთიდან გამოწერილ სამკურნალო იარაღებ-ხელსაწყოებზე მოხსნილ იქნას საბაჟო გადასახადი.

— **ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფო.** 15 ნოემბრისთვის ამხ. კამოს სახელობის მუშათა საავადმყოფოში იყო—85 ავადმყოფი. ნოემბრის განმავლობაში ახლად ჩაეწერა 87 ავადმყოფი, ამავე ხნის განმავლობაში გამოეწერა—77 ავადმყოფი. გარდაიცვალა 2. 1 დეკემბრისთვის დარჩა საავადმყოფოში—93 ავადმყოფი.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 20 დეკემ. შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—58, ახლად ჩაეწერა—48. სამუშაოზე გაიგზავნა—86 უმუშევარი. მოთხოვნილება იყო—103.

— **ამიერ-კავკასიის მონაწილეობა ხარკოვის ბაზრობაში.** ა.-კ. ცენტროკავშირმა გადასწყვიტა მიიღოს მონაწილეობა ხარკოვის საზობაო ბაზრობაში, რომელიც გაიმართება 19 იანვარს 1924 წ.

— **საკავშირო რესპუბლიკების სავაჭრო კოდექსი.** 20 დეკემბერს, ა.-კ საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატში შედგა საკავშირო რესპუბლიკების წარმომადგენლთა თათბირი, რომელზედაც გადასინჯული იქნა სავაჭრო კოდექსის გეგმა.

— **ჰაეროპლანით მოგზაურობა ტფილის-ბაქოს შორის.** საავიაციო საზოგადოებამ გადასწყვიტა 1-ლ იანვრიდან მოაწყოს ჰაეროპლანით მიმოსვლა გარეშე პირთათვის ტფილის-ბაქოს შორის.

— **სენაკის საგლეხო კომიტეტების ყრილობა.** დღეს, 22 დეკემბერს, სენაკში გაიხსნება გლეხთა [illegible] და სათემო კომიტეტების წარმომადგენელთა სამაზრო ყრილობა.

— **ჰაეროპლანით გადაფრენა მუღანში.** ა.—კ. კომუნალურ მეურნეობის წარმომადგენელნი ამხ. ბალდატიევის თაოსნობით ჰაეროპლანით გადაფრინდენ მუღანში ბამბის და კულტურულ მცენარეების (პლანტაციების) დასათვალიერებლათ.

— **ფულადი გადასახადი ხორბლეულზე აღმოსავლეთ საქართველოში.** ა.—კ. სასურსათო და საფინანსო კომისარიატებმა დაადგინეს: აღმოსავლეთ საქართველოსთვის ხორბლეულზე ფულადი გადასახადი დაწესდეს შემდეგი სახით: გორის, სიღნაღის, ბორჩალოს და ახალციხის მაზრებისთვის ფუთ ხორბალზე—18 მილიონი, თელავისთვის—17 მილ., სამხრეთ-ოსეთისათვის—12 მილიონი, ახალ-ქალაქისათვის—10 მილ., დუშეთისათვის—9 მილ., ტფილისის რაიონების: წალკისთვის—9 მილ., მანგლისისათვის, ასურეთ-აღბულაღისთვის—14 მილიონი, ხოლო დანარჩენ რაიონებისთვის—18 მილ. მან.

— **ლექციები სანიტ-განათლებაზე.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის თაოსნობით ახლო ხანში მოეწყობა ლექციები სანიტ-განათლებაზე. ლექციები წაკითხული იქნება მუშათა უმთავრეს უბნებში და კავშირებში.

— **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო წიგნი „წერითი სავარჯიშოები შრომის სკოლებისთვის“, შედგენილი სტ. ნიკოლაიშვილის მიერ.

— **ზაქარია ჭიჭინაძის წიგნი.** იბეჭდება და მალე გამოვა ისტორიკოსის ზაქარია ჭიჭინაძის წიგნი ქართული მკურნალობის ისტორიიდან.

შემთხვევები

— **შეპყრობა.** 19 დეკემბერს, შეპყრობილ იქნენ იზმაილ იუნუსოვი, ალექსანდრე გოლუბევი და ალექსანდრე კუზნეცოვი, რომლებსაც ბრალდებათ 7 ნოემბერს სოფ. მანუკიაიში წმინდა ბარბარეს ეკლესიის გაქურდვა. აღნიშნულნი პირნი გამოტყდენ დანაშაულში.

— **დაჭრა.** 17 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, საყოველთაო სამხედრო სწავლის მოანგარიშეს მოქ. არჩილ ბალაშვილს, მე-9 სამილიციო რაიონის სამმართველოს საპატიმროში დაპატიმრებულ მის ამხანაგის ნიკოლაიშვილთან ლაპარაკის დროს უეცრად გაუვარდა თოფი და აღნიშნული ნიკოლაიშვილი სასიკვდილოთ დასჭრა.

— **ბანდიტების მოკვლა.** 11 დეკემბერს, ბორჩალოს მაზრის მილიციის უფროსის მიერ ეკატერინოფელდის რაიონში სოფ. ქვეში მოკლულ იქნა ბანდიტი იუნუსა-შირინ ოღლი და ერთი მისი ამხანაგი.

ხელოვნება

— **მოხსენება ვალერი ბრიუსოვზე.** დღეს, 22 დეკემბერს, ხელოვნების სასახლეში გაიმართება ვალერი ბრიუსოვის სალამო. მოხსენებას წაიკითხავს ტიციან ტაბიძე: „ვალერი ბრიუსოვი“. სიტყვებს იტყვიან: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი. წაკითხული იქნება ვალერი ბრიუსოვის ლექსები ქართულად და რუსულად. შესვლა კავშირის საბჭოს წევრების რეკომენდაციით.

— **კინო სურათების ლენტები საზღვარგარეთიდან.** ა.|კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა დაადგინა საზღვარგარეთ შეიძინოს 65.000 მეტრიანი კინო-სურათების ლენტები.

— **გალ. ტაბიძის ჟურნალი.** იბეჭდება და იანვრის პირველს გამოვა გალ. ტაბიძის ჟურნალი.

დღეს თეატრებში.

— **სახელმწიფო ოპერა.** წარმოდგენა პროფკავშირების წევრებისათვის—„ჯამბაზები“, „კოპელიუსის დედოფალა“.

— **რუსთაველის თეატრი.** პროფკავშირის წევრებისათვის—„ოიდიპოს მეფე“.

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ინსტრუქციის დამატებანი იმ საკითხების, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის შესახებ გამოცემულ დეკრეტთან და ინსტრუქციასთან რელიგიურ საზოგადოებათა შესახებ.

დამატება 1

წესდება.

საზოგადოების სახელწოდება, შეთანხმებული სამლოცველო სახლის ან კულტის სახელწოდებასთან (რელიგიური საზოგადოება, ქალაქ ...ან მაზრის ...თემის ...სოფლის...

1. საზოგადოების მიზანი.

1...(სახელწოდება) რელიგიურ საზოგადოებას მიზნად აქვს გაერთიანება... სარწმუნოების მოქალაქეთა.. რაიონში (ქალაქი, სოფელი ან ის ადგილი, სადაც სამლოცველო სახლი მდებარეობს).

2. ამ მიზნით... (სახელწოდება) რერელიგიური საზოგადოება: 1) მართავს სალოცავ კრებებს, 2) განაგებს საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთაგან ხელშეკრულებით მიღებულ ქონებასა, 3) სდებს კერძო უფლებრივი ხასიათის გარიგებას, რომელსაც კავშირი აქვს საკულტო ქონების მართვა-გამგებლობასთან, 4) მონაწილეობას იღებს რელიგიურ საზოგადოებათა ყრილობებში, 5) ნიშნავს კულტის მოსამსახურეებს რელიგიურ წესების შესასრულებლად.

2. საზოგადოების შედგენილება.

3. ...(სახელწოდება) რელიგიური საზოგადოების წევრად ყოფნა შეუძლიან ყველა ადგილობრივ მცხოვრებს რომელიც ხსენებულ კულტს ეკუთვნის.

4. საზოგადოების წევრად ჩარიცხვა ხდება საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებაზე ახდილი კენჭისყრით ხმის უბრალო უმრავლესობით.

5. საზოგადოებიდან გასვლა ხდება ან გამსვლელის პირადი განცხადებით, ან საზოგადოების დამსწრე წევრთა 2|3-ს დადგენილებით (სიებით).

6. საზოგადოების წევრთა სიები ყოველწლივ უნდა წარედგინოს.. აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილებას.

3. საზოგადოების საშუალებანი.

7. საზოგადოების ცალკე წევრს ან საზოგადოების რწმუნებულს შეუძლიან ნებაყოფლობითი შემოწირულებათა შეკრება საკულტო ქონების მოხმარებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად.

შენიშვნა: საზოგადოების წევრებზე სავალდებულო საწევრო გადასახადის შეწერა არ შეიძლება.

საზოგადოების საქმეთა მართვა-გამგებლობა.

8. საზოგადოების ცხოვრებაში აღძრული ყველა საკითხი, გარდა საზოგადოების წესდების 5 და მე 2 ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, უნდა გადაწყდეს საზოგადოების საზოგადო კრებაზე ახდილი კენჭისყრით ხმათა უბრალო უმრავლესობით; საზოგადოების საზოგადო კრებები ღია უნდა იყოს და მათი მოწვევის დროს დაცულ უნდა იქნეს საამისოთ მიღებული საერთო წესი.

9. თავისი დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანად, აგრეთვე საგარეო წარმომადგენლობისათვის, საზოგადო კრება, საჭიროებისდაგვარად, თავის წრიდან ირჩევს რწმუნებულებს, რომელთაგან თვითეული მოქმედობს მინიჭებული რწმუნების ფარგლებში (იხ. მუხლი 2).

წესდების შეცვლის წესი.

10. საზოგადოების წესდება შეიძლება შეცვლილ იქნეს საზოგადოების საზოგადო კრების მიერ, მისი წევრების წინადადებით, ხმათა 2|3 ს უმრავლესობით, და ძალაში შედის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დამტკიცების შემდეგ.

საზოგადოების დახურვის წესი.

11. საზოგადოების დახურვა შეიძლება; 1) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილებით ისეთი შემთხვევების დროს, რომელიც აღნიშნულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 7 ივლისის დეკრეტის მე-3 მუხლის შენიშვნაში; 2) საზოგადოების წევრთა ნაწილის დაპატიმრების გამო; 3) საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების დადგენილებით.

12. უკეთუ საზოგადოება დახურულ იქნა, საზოგადოების სარგე-

რომელიც დაკავშირებული იყო მისი ყოფნა-არყოფნასთან. ამხ. პრეობრაჟენსკი მოითხოვს, რათა ასეთი რიგი პარტიაში, რომელიც გაუქმებული იქნა მე-10 ყრილობის მიერ, აღდგენილ იქნას, თუნდაც „ნაწილობრივ“. შეუძლია თუ არა პარტიას დაადგეს ასეთ გზას? არა, არ შეუძლია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პარტიულ ცხოვრების აღდგენა 1917—1918 წლის საფუძვლებზე, როდესაც შემოღებული არ იყო ახალი ეკონომიური პოლიტიკა, არ აკმაყოფილებს და არც შეიძლება აკმაყოფილებდეს პარტიის მოთხოვნილებებს 1923 წლის პირობებში, როცა შემოღებულია ახალი ეკონომიური პოლიტიკა. მეორეც იმიტომ, რომ ფრაქციულ ბრძოლის წარსული წესრიგის აღდგენა აუცილებლად გამოიწვევდა პარტიის მთლიანობის დარღვევას, განსაკუთრებით დღეს, როცა ამხ. ლენინი არ იღებს მონაწილეობას პარტიის მუშაობაში.

ამხ. პრეობრაჟენსკი სცდილობს სურათოს 1917—1918 წლ. შინაპარტიული ცხოვრების პირობებში, როგორც სასურველი და იდეალური [illegible]. მაგრამ ჩვენ ვიცით ამ პერიოდის შინაპარტიული ცხოვრების მრავალი ცუდი მხარეები, რომლებმაც ძლიერად შეარყიეს პარტია. არასოდეს შინაპარტიული ბრძოლა ბოლშევიკებს შორის ისეთ გამწვავებამდე მისულა, როგორც ამ პერიოდში, ბრესტის ზავის პერიოდში. ცნობილია, მაგალითად, რომ მემარცხენე კომუნისტები, რომლებიც მაშინ შეადგენდენ ცალკე ფრაქციას, ისეთ გამწვავებამდე მივიდნენ, რომ სერიოზულად ლაპარაკობდნენ მაშინდელ ლენინის კომისართა საბჭოს შეცვლაზე მემარცხენე კომუნისტების ფრაქციიდან ახალ პირებისაგან შემდგარ სახ. კომისართა საბჭოთი. ეხლანდელი ოპოზიციონერთა ერთი ნაწილი ამხ. ამხ. პრეობრაჟენსკი, პიატაკოვი, სტეკლოვი და სხვები შედიოდენ მაშინ მემარცხენე კომუნისტების ფრაქციის შემადგენლობაში.

ნუ თუ ამხ. პრეობრაჟენსკი ფიქრობს „აღადგინოს“ ჩვენს პარტიაში ეს იდეალური წესრიგი?

ცხადია, რომ პარტია არ დაეთანხმება ამ „აღდგენას“.

ამხ. საპრონოვის წერილის შესახებ.

(იხ. „პრავდა“ № 279).

შინაპარტიულ ცხოვრებაში ნაკლულევანებათა მთავარ მიზეზს ამხ. საპრონოვი ხედავს პარტიულ აპარატებში „პარტიულ პედანტების“, „საკლასო დამების“ არსებობაში. ეს უკანასკნელები ეწევიან „პარტიის წევრთა აღმზრდელობას“ „სასკოლო მეთოდით“ და ამნაირად აფერხებენ პარტიის წევრთა ნამდვილ აღზრდას ბრძოლის პროცესში.

მონათლა რა, ამგვარად, ჩვენი პარტიული აპარატის მუშაკები „საკლასო დამებათ“, ამხ. საპრონოვი არც კი ფიქრობს იკითხოს: საიდან გაჩნდენ ეს ადამიანები, და როგორ მოხდა ის, რომ „პარტიული პედანტები“ გადამწყვეტ როლს თამაშობდენ ჩვენი პარტიის მუშაობაში. წამოაყენა რა ეს მეტად გაბედული და დემაგოგიური დებულება, ამხ. საპრონოვმა დაივიწყა, რომ მარქსისტს არ შეუძლია დაკმაყოფილდეს უბრალო განცხადებით, რომ მან პირველყოვლისა უნდა შეიგნოს მოვლენა, თუ ის მართლაც არსებობს ბუნებაში და ახსნას იგი იმისათვის, რათა გაითვალისწინოს გაუმჯობესების ნამდვილი ღონისძიებანი. მაგრამ ამხ. საპრონოვს, როგორც სჩანს, არ სცალიან მარქსიზმისათვის. მისი მიზანია, რათაც არ უნდა დაუჯდეს გამოლანძღოს პარტიული აპარატი,—დანარჩენი თავის თავად მოეწყობა. „პარტიულ პედანტების“ ბოროტი სურვილები—ასეთია, ამხ. საპრონოვის აზრით, ჩვენი შინაპარტიულ ცხოვრების ნაკლულევანებათა მიზეზი. აი სწორი განმარტებაც ეს არის!

გაუგებარია მხოლოდ:

1) როგორ შესძლეს ამ „პარტიულმა პედანტებმა“ და „საკლასო დამებმა“ მსოფლიოში ყველაზე უფრო რევოლიუციონურ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის შენარჩუნება?

2) როგორ მოახერხეს „ჩვენმა პარტიულმა შეგირდებმა“, რომელთა აღმზრდელობა „საკლასო დამების“ ხელშია, შეენარჩუნებიათ მსოფლიოში ყველაზე რევოლიუციონურ ქვეყნის ხელმძღვანელობა?

ცხადია, ყოველ შემთხვევაში, რომ ლაყბობა „პარტიულ პედანტების“ შესახებ, უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენი პარტიული აპარატის უდიდესი ღირსების გაგება და დაფასება.

როგორ ფიქრობს ამხ. საპრონოვი ჩვენი შინაპარტიული ცხოვრების ნაკლულევანებათა გამოსწორებას? მისი წამალი ისეთივე მარტივია, როგორც დიაგნოზი. „გადასინჯულ იქნას ჩვენი ოფიცრების შემადგენლობა“, მოხსნილ იქნან თანამდებობიდან დღევანდელი მუშაკები—ასეთია ამხ. საპრონოვის საშუალებანი. ამაში ის ხედავს მთავარ გარანტიას შინაპარტიულ დემოკრატიის გატარებისას. მე შორს ვარ იმ აზრიდან, რომ უარვყო ხელახალი არჩევნების მნიშვნელობა დემოკრატიზმის თვალსაზრისით. ჩვენი შინაპარტიული ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. მაგრამ ამაში მთავარი გარანტიის დანახვა—ნიშნავს შინაპარტიული ცხოვრების და მისი ნაკლულევანებათა არ ცოდნას. ოპოზიციის რიგებში იმყოფებიან ისეთი ამხანაგები, როგორც ბელობოროდოვი, რომლის „დემოკრატიზმი“ დღემდის დარჩათ ხსოვნაში როსტოველ მუშებს; როზენგოლცი, რომლის „დემოკრატიზმისაგან“ ბევრი გაჭირვება მიადგათ ჩვენი ტრანსპორტის მუშებს; პიატაკოვი, რომლის „დემოკრატიზმისაგან“ კი არ ყვიროდა, არამედ გმინავდა მთელი დონის ბასეინი; ალსკი, რომლის „დემოკრატიზმი“ ყველას კარგად მოეხსენება; ბიკი, რომლის „დემოკრატიზმის“ წყალობით დღემდის ოხრავს ხვარაზმი. ფიქრობს თუ არა ამხ. საპრონოვი, რომ თუ დღევანდელ „პარტიულ პედანტებს“ ჩვენ შევცვლით ზემოხსენებულ პატივცემულ ამხანაგებით, დემოკრატია პარტიის შიგნივ გაიმარჯვებს? მომეცით ნება რამდენადმე ეჭვი შევიტანო ამაში.

როგორც სჩანს, არსებობს ორგვარი დემოკრატიზმი: დემოკრატიზმი პარტიული მასების, რომელნიც ილტვიან თვითმოქმედებისა და პარტიულ ხელმძღვანელობის საქმეში აქტიურ მონაწილეობისაკენ და „დემოკრატიზმი“ უკმაყოფილო პარტიულ „დიდებულების“, რომლებიც დემოკრატიზმის შინაარსს ხედავენ ერთი პირის მეორეთი შეცვლაში. პარტია მხარს დაუჭერს პირველ რიგის დემოკრატიზმს და მას მტკიცეთაც გაატარებს. მაგრამ პარტია უკუაგდებს პარტიულ „დიდებულების“ „დემოკრატიზმს“, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს ჭეშმარიტ შინაპარტიულ მუშათა დემოკრატიასთან.

რათა უზრუნველვყოთ შინაპარტიული დემოკრატია, საჭიროა პირველყოვლისა, ზოგიერთ ჩვენ ამხანაგების თავიდან სამხედრო დროის იმ ნაშთების და ჩვეულებების განდევნა, რომლის ძალითაც პარტია ფასდება, არა როგორც თვითმომქმედი ორგანიზმი, არამედ როგორც დაწესებულებათა სისტემა. მაგრამ ამ ნაშთების განდევნა მოკლე ვადაში შეუძლებელია.

რათა უზრუნველვყოთ შინაპარტიული დემოკრატია, საჭიროა, აგრეთვე, პარტიული, 20—30 ათას მუშაკებისაგან შემდგარ პარტიულ აპარატზე, მილიონიან ბიუროკრატიულ, სახელმწიფო აპარატის ზედაწოლის დაძლევა. მაგრამ ამ უზარმაზარ მანქანის ზედაწოლის დაძლევა და მისი დამორჩილება წარმოუდგენელია მოკლე დროის განმავლობაში.

რათა უზრუნველვყოფთ შინაპარტიული დემოკრატია, საჭიროა, გარდა ამისა, მივაღწიოთ მთელ რიგ ჩვენ ჩამორჩენილ იაჩეიკების კულტურულ დონეს ამაღლებას და მთელი კავშირის ტერიტორიაზე აქტიურ მუშაკების სისწორით განაწილებას, რაც აგრეთვე არ შეიძლება მიღწეულ იქნეს მოკლე ხნის განმავლობაში.

როგორც ხედავთ, სრული დემოკრატიის უზრუნველყოფა არც ისე ადვილია, როგორც ეს ამხ. საპრონოვს ეჩვენება, თუ, რა თქმა უნდა, დემოკრატიზმის ქვეშ ვიგულისხმებთ არა ამხ. საპრონოვის ცარიელ ფორმალურ დემოკრატიზმს, არამედ ნამდვილ მუშათა დემოკრატიზმს.

როგორც სჩანს, საჭიროა მთელი პარტიის ყველა ფენების ნებისყოფის დაძაბვა იმისათვის, რათა უზრუნველვყოთ და ცხოვრებაში გავატაროთ ნამდვილი შინაპარტიული დემოკრატია.

ამხ. ტროცკის წერილის შესახებ.

ც. კ. და ც. ს. კ. რეზოლიუცია შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა 6 დეკემბერს, მიღებულია ერთხმად. ამხ. [illegible] ხმა მისცა ამ რეზოლიუ[illegible] უნდა გვეფიქრა, რომ ც. კ. წევრებს, მათ რიცხვში ამხ. ტროცკიც გამოვიდოდენ ერთიანი ფრონტით და მოუწოდებდენ პარტიის წევრების ერთსულოვნად დაეჭირათ მხარი ც. კომიტეტისა და მისი რეზოლიუციისათვის. მაგრამ ეს მოსაზრება, საქმეზე არ გამართლდა. ამხ ტროცკიმ ამ დღეებში გამოაქვეყნა წერილი*) პარტიული კონფერენციებისადმი, რომელიც არ შეიძლება გაგებულ იქნეს სხვაგვარად, თუ არა როგორც პარტიის ნებისყოფის შესუსტების ცდა ც. კ. და მისი პოზიციისათვის მხარის დაჭერის საქმეში.

განსაჯეთ თვითონ.

მოიხსენია რა პარტიული აპარატის ბიუროკრატიზმი და ძველი გვარდიის, ე. ი. ლენინელების, ჩვენი პარტიის ძირითადი კადრის გადაგვარების საფრთხე, ამხ. ტროცკი სწერს:

„ძველი გვარდიის გადაგვარება ისტორიას მრავალჯერ ახსოვს. ავიღოთ ყველაზე ცოცხალი და ნათელი ისტორიული მაგალითი: მეორე ინტერნაციონალის ბელადები და პარტიები. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ვილჰელმ ლიბკნეხტი, ბებელი, ზინგერი, ვიქტორ ადლერი, კაუცკი, ბერნშტეინი, ლაფარგი, გედი და სხვები მარქსის და ენგელსის პირდაპირი და უშუალო მოწაფეები იყვნენ. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ყველა ეს ბელადები,—ზოგი ნაწილობრივ, ზოგნი კი სავსებით,—გადაიხარენ ოპორტუნიზმისაკენ პარლამენტარული რეფორმების და პარტიული და პროფესიონალური აპარატის დამოუკიდებელი ზრდის პირობებში...“ და ჩვენ,—სწორედ ჩვენ „მოხუცებმა“, უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი თაობა, რომელიც ბუნებრივად ხელმძღვანელის როლს თამაშობს პარტიაში, არ შეიცავს არავითარ დამოუკიდებელ გარანტიას პროლეტარული და რევოლიუციონური სულის შესუსტების წინააღმდეგ, თუ დაუშვებთ, რომ პარტიამ მოითმენდა პოლიტიკის აპარატულ-ბიუროკრატიული მეთოდების მომავალ ზრდას და განმტკიცებას, რომელიც ახალგაზრდა თაობას აქცევს პასიურ, აღსაზრდელ მასალად, რომელიც აუცილებლად ქმნის განცალკევებას აპარატსა და მასას შორის, მოხუცებსა და ახალგაზრდებს შორის“... „ახალგაზრდობა,—პარტიის ყველაზე უფრო სწორი ბარომეტრი,—ყველაზე უფრო მწვავედ გრძნობს პარტიულ ბიუროკრატიზმს“... „საჭიროა, რომ ახალგაზრდობა ბრძოლით იღებდეს რევოლიუციონურ ფორმულებს“..

პირველყოვლისა, მე უნდა გავფანტო ერთი შესაძლებელი გაუგებრობა. ამხ ტროცკი, როგორც სჩანს მისი წერილიდან, თავის თავს აკუთვნებს ბოლშევიკების ძველ გვარდიას და ამით ასე ვსთქვათ აცხადებს სურვილს თავის თავზე მიიღოს ის ბრალდებები, რომლებიც შეიძლება თავს დაატყდენ ძველ გვარდიას, თუ ის მართლა დადგება გადაგვარების გზაზე. უნდა ვაღიაროთ, რომ თავგანწირვისათვის ეს მზადყოფნა კეთილშობილების მაჩვენებელია. მაგრამ მე უნდა დავიცვა ამხ. ტროცკი ამხ. ტროცკისაგან, ვინაიდან ის გასაგებ მიზეზების გამო არ არის და ვერ იქნება პასუხისმგებელი ძველი ბოლშევიკური გვარდიის შესაძლებელი გადაგვარების გამო. მსხვერპლი, რასაკვირველია, კარგი საქმეა, მაგრამ ესაჭიროება კი ის ძველ ბოლშევიკებს? მე ვფიქრობ, რომ ის საჭირო არ არის.

მეორე, გაუგებარია თუ როგორ შეიძლება ასეთი ოპორტუნისტების და მენშევიკების, როგორიც არიან ბერნშტეინი, ადლერი, კაუცკი, გედი და სხვები ერთ დაფაზე დასმა ბოლშევიკების ძველ გვარდიასთან, რომელიც მუდამ იბრძოდა და დარწმუნებული ვართ მომავალშიც ღირსეულად იბრძოლებს ოპორტუნიზმის, მენშევიკების და მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ? რით არის გამოწვეული ეს დომხალი და არევდარევა, ვის ესაჭიროება ის, თუ მხედველობაში ვიქონიებთ პარტიის ინტერესებს და არა სხვა კერძო მოსაზრებებს, რომელთაც მიზნად აქვს არა ძველი გვარდიის ინტერესების დაცვა? როგორ გავიგოთ ეს გადაკრული სიტყვები ოპორტუნიზმის შესახებ ძველი ბოლშევიკების მიმართ, რომლებიც ოპორტუნიზმთან ბრძოლაში აღიზარდენ?

მესამედ, მე სრულიად არ ვფიქრობ, რომ ძველი ბოლშევიკები უზრუნველყოფილი არიან გადაგვარების საფრთხისაგან, ისევე, როგორც არა მაქვს არავითარი საფუძველი ვამტკიცო, რომ ჩვენ აბსოლიუტურად უზრუნველყოფილი ვართ, მაგალითად, მიწისძვრისაგან მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საფრთხე რეალურია, რომ ის არსებობს? მე ვფიქრობ, რომ არ ნიშნავს. თვით ამხანაგმა ტროცკიმაც არ მოიყვანა საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ გადაგვარების საფრთხის, როგორც რეალური საფრთხის არსებობას. ამავე დროს კი, პარტიის შიგნით ჩვენ გვყავს ზოგიერთი ელემენტები, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან ჩვენი პარტიის ზოგიერთი რიგების გადაგვარების საფრთხე. მე მხედველობაში მყავს მენშევიკების ერთი ნაწილი, რომელიც ძალაუნებურად შევიდა ჩვენს პარტიაში და რომელიც ჯერაც ვერ განთავისუფლებულა ძველი ოპორტუნისტული ჩვეულებებისაგან. აი რას სწერდა ამ მენშევიკების და ამ საფრთხის შესახებ ამხ. ლენინი პარტიის წმენდის პერიოდში:

„თითოეულ ოპორტუნისტს ახასიათებს შეგუების უნარი და მენშევიკები, როგორც ოპორტუნისტები, ასე ვსთქვათ, ეგუებიან პრინციპის გამო მუშათა შორის გაბატონებულ მიმდინარეობას, იცვლიან ფერს, ისე როგორც კურდღელი ზამთარში თეთრი ხდება. მენშევიკების ეს თავისებურობა უნდა ვიცოდეთ და ის უნდა გავითვალისწინოთ. გათვალისწინება კი—ეს ნიშნავს პარტიის გაწმენდას. მაგალითისათვის ავიღოთ, მენშევიკების მთელი რიცხვის 99 პროც.-საგან, რომელიც შეუერთდა რ. კ. პ. 1918 წლის შემდეგ, ე. ი. მაშინ, როცა ბოლშევიკების გამარჯვება შესაძლებელი, შემდეგ კი ეჭვს გარეშე გახდა“ (იხ. ლენინის წერილი „პრავდა-ში“ 1921 წ. 21 დეკემბერს).

როგორ მოხდა ის, რომ ამხ. ტროცკიმ, გაუშვა რა მხედველობიდან ეს და ამგვარი საფრთხეები, პირველ რიგში წამოაყენა შესაძლებელი საფრთხე, ბოლშევიკების ძველი გვარდიის გადაგვარების საფრთხე? როგორ შეიძლება თვალის დახურვა რეალურ საფრთხეზე და პირველ რიგში საკუთრივ არა რეალური, შესაძლებელი საფრთხის წამოყენება, თუ მხედველობაში ვიქონიებთ პარტიის ინტერესებს და არა ც. კ. იმ უმრავლესობის ავტორიტეტის შერყევის მოსაზრებებს, რომელიც ბოლშევიკების ძველი გვარდიის ხელმძღვანელ ცენტრს წარმოადგენს? ნუ თუ ნათელი არ არის, რომ ასეთი „მიდგომა“ წყალს ასხამს მხოლოდ ოპოზიციის წისქვილზე?

მეოთხე, საიდან აიღო ამხ. ტროცკიმ ეს „დაპირისპირება“ „მოხუცების“, რომლებიც შეიძლება გადაგვარდენ, „ახალგაზრდობის“, რომელიც პარტიის „სწორი ბარომეტრია“ და „ძველი გვარდიის“, რომელიც შეიძლება გაბიუროკრატდეს, „ახალგაზრდა გვარდიის“, რომელმაც „ბრძოლით უნდა აიღოს რევოლიუციონური ფორმულები“? საიდან გამონახა მან ეს დაპირისპირება, რისთვის დარჩა ის საჭირო? ნუ თუ ახალგაზრდობა და ძველი გვარდია ერთიანი ფრონტით არ მოდიოდენ შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ? განა „მოხუცების“ და „ახალგაზრდების“ ერთობა არ წარმოადგენს ჩვენი რევოლიუციის მთავარ ძალას? საიდან წარმოიშვა ძველი გვარდიის დამცირების და ახალგაზრდობის დემაგოგიურად შეხიცინების ეს ცდა იმისათვის, რომ გაიხსნას და გაფართოვდეს ჭუჭრუტანა ჩვენი პარტიის ამ მთავარ რაზმებს შორის? ვის ესაჭიროება ყველაფერი ეს, თუ მხედველობაში ვიქონიებთ პარტიის ინტერესებს, მის მთლიანობას და არა მისი მთლიანობის შერყევის ცდას ოპოზიციის გასახარელად?

განა ასე იცავენ ც. კ და მის რეზოლიუციას შინაპარტიული დემოკრატიის შესახებ, რომელიც ერთხმად იყო მიღებული?

თუმცა, როგორც ჩანს, ამხ. ტროცკი არ ისახავდა ასეთ მიზანს, როცა აქვეყნებდა წერილს პარტიული კონფერენციებისადმი. როგორც სჩანს აქ სხვა მოსაზრება იყო,—ც. კ. რეზოლიუციის დაცვის ნიღაბ ქვეშ ოპოზიციისათვის პარტიის ც. კომიტეტთან ბრძოლის დროს დიპლომატიურად ხელის შეწყობა.

ამით, საკუთრივ აიხსნება ის ორმაგობის დაღი, რომელიც აზის ამხ. ტროცკის წერილს.

ამხ. ტროცკის ბლოკი აქვს დემოკრატიულ ცენტრალისტებთან და მემარცხენე კომუნისტების ნაწილთან,—ამაშია ამხ. ტროცკის გამოსვლის პოლიტიკური აზრი“.

ი. სტალინი.

მოსკოვის „პრავდა“ № 285.

---

*) ამხ. ტროცკის წერილი გადმობეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში.

მუშათა ცხოვრება

შეგნებული მუშების თავგანწირულობა

მე 3-მე სახელმწიფო თამბაქოს ქარხნის ამხ. ლენინის სახელობის თამბაქოს სახმობ განყოფილებას გაუჩნდა ცეცხლი 11 დეკემბერს. მომუშავეთა ენერგიული ზომების მიღების გამო ამხ დუნდუას, დარაჯი ეგოიევ-ეგიაზაროვას, მეეზოვე რაგოქინის, ქართულ დივიზიის წითელ არმიელთა და 1-ლ სამილიციო მილიციონერების მიერ იქნა ცეცხლი ჩაქრობილი ცეცხლის მქრობელ რაზმის მოსვლამდე, რისთვისაც ფაბრიკის მდივანი და კომუჯრედი დიდ მადლობას უხდიან ზემოაღნიშნულ ამხანაგებს.

ქარხნის პასუხისმგებ. მდივანი **მიხაილოვი.**

კომუჯრედის პასუხისმგებ. მდივანი **ფირხოვი.**

გავაუქმეთ ძველი წყობილების კიდევ ერთი ნაშთი

12 დეკემბერს თუთუნის ქარხანა „პროლეტარიატ"-ში შესდგა მუშათა საერთო კრება, სადაც სხვათა შორის განხილული იქნა მანამდე არსებული მუშების ყოველდღიური გაჩხრეკის წესი ქარხნიდან გამოსვლის დროს. კრებამ ერთხმად დაადასტურა, რომ ეს საზიზღარი ჩვეულება „ობისკები" ერთხელ და სამუდამოდ გაუქმებული იქნას მხოლოდ იმ პირობით, რომ დროგამოშვებით მოულოდნელათ მოახდინონ „ობისკები", რადგანაც სამწუხაროდ ჯერ კიდევ მუშების პატიოსნებაზე თითქმის დარწმუნებული არ არის ქარხნის ადმინისტრაცია, აქაც არაფერია გასაკვირალი, რადგან რომ თვითონ მუშაც უნდობლობით უყურებს ზოგიერთ თავის ამხანაგს. ეს არსებითად საზიზღარი მოვლენა ნაშთია ძველი ბურჟუაზიული წესწყობილებისა. ყოველი ბურჟუა-კაპიტალისტი ისე უყურებდა თავის მარჩენელ მუშას, როგორც ქურდს და მის საკუთარი ქარხნის მტერს. ამიტომ ეს სისაძაგლე ერთად-ერთ საშუალებად მიაჩნდა მას, რომ ქურდობა მოესპო. ის ანგარიშს არ უწევდა მუშათა ყოფა-ცხოვრებას. ის არა ფიქრობდა იმაზე, რომ როგორმე გაეუმჯობესებინა მუშის მდგომარეობა. ამიტომ მაშინ შესაძლებელიც იყო ყოვლად პატიოსან მუშას თავის გაჭირვების დასაფარავად ისეთ ცუდ საშუალებისათვის მიემართნა, როგორიც არის „ხელბრუნდობა". ეს მოვლენა შესაძლებელია საპატიო ყოფილიყო მაშინდელ მუშისათვის, რადგანაც მაშინდელი სამუშაო პირობები აუტანელი იყო კაპიტალისტების უღელქვეშ. მაგრამ დღეს კი არ ეპატიება არც ერთ მუშას, რომ ის მოეპყროს სახელმწიფო საწარმოოს ისე, როგორც კაპიტალისტისას; ამიტომ იმედია, რომ ჩვენი მუშები ბოროტად არ გამოიყენებენ მთავრობის ნდობას, როგორც არის „ობისკების" გაუქმება. ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომ ის ნდობით უყურებს თავის მუშებს რის გამოც ის ანდობს მას მთელ წარმოების ბედ-იღბალს და ოდესმე არაადამიანად ცნობილი შრომის შვილი, მუშა, დღეს სრულუფლებიანი მოქალაქეა და მის პატიოსნებაზე არავითარი ეჭვიც აღარავის აქვს.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

ქუჩები მაინც დარჩენ ძველი სახელწოდებით.

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

მართალია, ქუჩების სახელწოდების შეცვლა, ფაქტიურად ჯერჯერობით ვერ ტარდება ცხოვრებაში, მაგრამ საზოგადოების სებიექტიურად გარდაქმნისათვის მას მაინც აქვს თავისი მნიშვნელობა.. ჯერ კიდევ თბილისის ზოგიერთ ქუჩებს წარსული ფეოდალური წყობილების ლაქიებისა და ხალხის აშკარა მტრების გვართა წარწერები „ამშვენებს" როგორც, მაგალითად, ავლაბარში, სადაც ქართული წითელი ჯარის ახალგაზდობა სცხოვრობს. აქ ერთ შენობაზე დიდი ასოებით არის შემდეგი წარწერა: „**Жандармская улица**". მასთან ზოგიერთ სახლის პატრონებსაც აღმასკომის დადგენილება ამის შესახებ არ მოყავთ სისრულეში. და „ძველს" არ სცვლიან ახალი სახელწოდებით. ამ გარემოებას უნდა მიექცეს აღმასკომის და მილიციის ყურადღება.

ინფორმ. იგი.

მუშათა ფაკულტეტის საერთო საცხოვრებელი ბინა

მუშფაკის მსმენელებს გვაქვს საერთო ბინა, სადაც თითქმის ორასამდი მსმენელები სცხოვრობს. წინედ ცოტა ცუდი პირობები იყო. არ გვქონდა ლოგინები და უმრავლესობა იატაკზე ვწვებოდით, ჰიგიენის მხრითაც მეტად ცუდ პირობებში ვიყავით; ვსადილობდით კერძო პირთან კოლექტიურად, რომელიც, როგორც ეს სპეკულიანტს სჩვევია, ისე გვექცეოდა.

ამჟამად მდგომარეობა გაუმჯობესდა. ლოგინებით ყველა კმაყოფილია, თუმცა ბევრს ლეიბები და მათი მოწყობილობა დღესაც არა აქვს.

ამასთან კიდევ განვიცდით კრიზისს ბინის მხრივ. არის ისეთი ოთახები, სადაც ორ-სამ კაცის მაგივრად ვცხოვრობთ ხუთიდან ექვსამდი. აქ უცხო კაცმა რომ შეიხედოს ჩვენს ბინებში, მას ასე ეგონება, რომ აქ ვითომდა საავადმყოფო იყოსო.

ბევრი ოთახები დააცლევინეს და კერძო პირები გადაასახლეს, მაგრამ ეს ჯერ მთლად სისრულეში არაა მოყვანილი. საჭიროა ამ საკითხის მალე მოგვარება.

ამას უნდა მიუმატოთ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ჩვენ ჯერ სასადილო ვერ მოგვიწყვია. საამისო პირობები ხელს არ გვიწყობს. არ გვაქვს ოთახები და სხ.

საკუთარ ოთახებში სადილობა შეუძლებელია ჰიგიენურად. ფულის ეკონომიურად განაწილება და მისი მომჭირნეობით ხმარებას ბევრი ვერ ახერხებს. ბევრი კი როდესაც აიღებს სტიპენდიას, ორ-სამ დღეს ლოთობს და შემდეგ კი რჩება მშიერი. ასეთ საქციელს ბოლო უნდა მოეღოს.

ჩვენს დაბლა პირველ სართულში ვიღაც კერძო პირს აქვს სასადილო მოწყობილი. იმისი იქ ყოფნას ჩვენთვის ზარალი მოაქვს და ისედაც იქაური აურ-ზაური ზევით მეცადინეობაშიც ხელს გვიშლის. ამას გარდა კარგი იქნებოდა და მეტად საჭიროც იმ ოთახების გადაცემა საერთო განკარგულებაში, სადაც ჩვენ სასადილოს მოვაწყობდით.

იმფორმატორი ფ. მუშფაკელი.

მეტი ყურადღება ქალაქის განაპირა ნაწილებს

(აღმასკომის საყურადღებოდ).

ავლაბრის მახლობლად, რკინისგზის ხაზზე გადადის ერთი ხიდი. ეს ადგილი მეტად ბნელია, ადამიანი ღამით იქ ვერაფერს დაინახავს.

აქ ხშირი ყოფილა გაძარცვები და თითქმის მკვლელობის შემთხვევებიც ხშირად უნახავთ გზის პირას მოკლული ადამიანის გვამიც.

საკვირველია მეშვიდე სამილიციო რაიონის სამმართველო სათანადო ყურადღებით რისთვის ვერ ეპყრობა ამ ამბავს. აქ საჭიროა ერთის მაგიერ ორი მილიციონერის დაყენება, რათა მუშებს საშუალება მიეცეთ უშიშრად და მშვიდობიანად დაბრუნდნენ თავიანთ ოჯახებში კლუბებიდან და კრებებიდან.

მუშკორი მარხი.

პასუხად ავადმყოფ მუშა ქალს

(იხ. „კომუნისტი"-ს № 287)

გაზეთ კომუნისტის № 287-ში მოთავსებულია წერილი შემდეგი სათაურით: „მინდა მაინც ვიცოდე, ეს ასეა თუ არა". აქ თქვენ აღნიშნავთ, ვითომც თქვენ, როგორც მძიმე ავადმყოფს, მიგემართოთ უბნის ექიმისათვის, მას თქვენთვის გამოუწერია წამალი, მაგრამ, როგორც თქვენ აღნიშნავთ, აფთიაქს თქვენთვის უარი უთქვია წამალზე, რადგანაც წამალი ძვირფასიანი ყოფილა. ეხლა თქვენ გაინტერესებთ გაიგოთ: ეს ასეა თუ არა. ამ კითხვაზე უნდა გითხრათ შემდეგი: არამც თუ ეს ასე არ არის, არამედ მთელი სამკურნალო ქვე-განყოფილების არსებობის ისტორიაში ასეთი შემთხვევა პირველი არის. ჯერ არ გვქონია ასეთი მაგალითი. წამლობა ჩვენთან ხდება საერთო წესით. ექიმი სწამლობს ავადმყოფებს, როგორც ძვირფასიანი, ისეც იაფფასიანი წამლობით, ამას დაამტკიცებს მთელი რიგი ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეების, რომლებიც ჩვენთან ლიბულობენ სამკურნალო დახმარებას სრულიად უფასოდ. მე ერთი წუთითაც არ შემიძლია დავიჯერო, რომ საბჭოთა აფთიაქის თანამშრომელს თქვენთვის ეთქვა ასეთი პროვოკაციული განმარტება, რომ „მძიმე ავადმყოფობას ძვირფასი წამალი სჭირია და ძვირფასი წამლების გაცემა კი აკრძალულია". ასეთი მეტოდი ექიმობისა არსად არ არსებობს. შემდეგ უნდა მოგაგონოთ, რომ ყოველივე კანონები სამკურნალო დახმარებისათვის უბნის ექიმმა უფრო კარგად იცის, ვიდრე რომელიმე აფთიაქის თანამშრომელმა. ამიტომ თუ ვინმემ რაიმე სიბოროტე ჩაიდინა განზრახ, როგორც ამ შემთხვევაში, თქვენ შეგეძლოთ მოგემართათ ჩვენთვის, შეგეტყობინებიათ საქმის ვითარება, რაზედაც თქვენ მიიღებდით სრულიად დამაკმაყოფილებელ პასუხს და საბოლოოდ გეცოდინებოდათ ის, რის გაგებასაც გაზეთის საშუალებით მოითხოვთ. შემდეგისათვის მე კიდევ მოგაგონებთ, რომ ყოველივე ასეთი კითხვების გამოსარკვევად მიმართეთ თავდაპირველად სამკურნალო ქვეგანყოფილებას, სადაც მიიღებთ ყოველივე საჭირო ცნობას. შემდეგისთვის უნდა იცოდნენ ყველა მუშა-მოსამსახურეებმა, რომელნიც კავშირის წევრნი არიან და დაზღვეულნიც, რომ მათ ავადმყოფობის დროს ეძლევათ უფასოდ ძვირფასიანიც და მცირეფასიანი წამლებიც, თუ მას მოითხოვს საჭიროება.

სამკურნალო ქვე-განყოფილების გამგე და დამზღვევ კასის პრეზიდიუმის წევრი: ჯავირა ხუტულაშვილი.

მუშა-მსახიობები ეხმარებიან წითელ მილიციას

(ჩვენი გორის მუშკორისაგან).

16 ამა დეკემბერს ქალ. გორის სახალხო სახლში სამაზრო მილიციის ეკონომიურ პირობათა გასაუმჯობესებლად ადგილობრივ სცენის მოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი იქნა ერთმოქმედებიანი დრამა თარგმანი ხოზზეროვისა „სიყვარულის ძალა", რომელმაც შესაფერად ჩაიარა. მეორე მოქმედებად მიდიოდა ცნობილი კომედია „[illegible] ქუდი", რომელმაც ისევე კარგად ჩაიარა. შემდეგ ახალგაზრდა პოეტმა ამხ. ირაკლი ყანჩელმა, რომელიც შემთხვევით ტფილისიდან ჩამოსული დაესწრო, უძღვნა ექსპრომტად აკროსტიხი.

ადგილობრივ ჰუმანიტარულ ტეხნიკუმის მოწაფეთა მიერ დადგმულ იქნა ცოცხალ სურათად „ბაზალეთის ტბა". სურათის დროს მომღერალთა გუნდი „იავნანას" მღეროდა, საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საღამომ შესაფერად ჩაიარა და დამსწრე საზოგადოებაზედ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. შემოსავალიც შესაფერისი იყო—ხუთ მილიარდ მანეთს აღემატებოდა, რომელიც გადაეცა კუთვნილებისამებრ.

მუშკორი **ინ. კორინთელი.**

ბლობაში მყოფი მთელი ქონება საზოგადოების საზოგადო კრებაზე არჩეული საგანგებო რწმუნებულის მიერ, საინვენტარო სიით დაუბრუნდება ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს.

დამატება № 2

ხელშეკრულება.

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერთ, წარმომადგენელთ (ამა და ამ) რელიგიური საზოგადოებისა, (ამა და ამ ადგილას ან ამა და ამ ქალაქში მცხოვრებთ), დავდეთ ეს ხელშეკრულება (ამა და ამ) აღმასრულებელ კომიტეტთან, მისი რწმუნებულის (თანამდებობა, სახელი და გვარი) სახით მას შინა, რომ 192... წელს... თვეს ...რიცხვს აღმასრულებელი კომიტეტისაგან უვადოთ და უფასო სარგებლობისათვის მივიღეთ (აქა და აქ) მდებარე (ესა და ეს ღვთისმსახურების შენობა) და ღვთისმსახურების საგნები ჩვენი ხელმოწერით შემოწმებული განსაკუთრებული აღწერილობით, შემდეგი პირობით:

1. მთელი ჩვენი (ესა და ეს) რელიგიური საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს გაუფრთხილდეს მასზე გადაცემულ სახალხო ქონებას და ისარგებლოს ამ ქონებით მარტოოდენ მისი დანიშნულების შესაფერისად, ამასთან საზოგადოება კისრულობს მთელ პასუხისმგებლობას ჩაბარებული ქონების სიმრთელისა და შენახვისათვის, აგრეთვე ამ ხელშეკრულებით თავისთავზე მიღებულ ყველა სხვა მოვალეობის შესრულებისათვის.

2. საზოგადოება მოვალედ რაცხს თავს ტაძრებითა და იქ შენახულ ღვთისმსახურების საგნებით ისარგებლოს და ასარგებლოს ყველა ერთმორწმუნე მარტოოდენ რელიგიური მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3. საზოგადოება მოვალეთ რაცხს თავს მიიღოს ყოველი ზომა იმისთვის, რომ მისთვის ჩაბარებული ქონება არ მოხმარდეს ისეთ მიზანს, რომელიც არ შეეფერება ამა ხელშეკრულების 1-ლ და 2 მუხლს.

კერძოდ, საზოგადოება მოვალეა აღკრძალოს მის გამგებლობაში გადასულ ღვთისმსახურების სადგომში:

ა) საბჭოთა ხელისუფლების სამტროდ მიმართული პოლიტიკური კრებების გამართვა;

ბ) საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართულ წიგნების, ბროშურების, ფურცლების და ეპისტოლების დარიგება და გაყიდვა;

გ) საბჭოთა ხელისუფლების ან მისი ცალკე წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული ქადაგების და სიტყვების წარმოთქმა;

დ) საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მცხოვრებთა აღელვების მიზნით ზარის რეკით განგაშის მოხდენა.

4. საზოგადოება მოვალეა თავისი ქონებით გაისტუმროს ტაძრის (ან სხვა ღვთისმსახურების შენობის) და ამ ტაძარში დაცული საგნების შესანახად საჭირო მიმდინარე ხარჯები, სახელდობრ რემონტი, გათბობა, დაზღვევა, დაცვა, გასტუმრება ვალებისა, გადასახადებისა, ადგილობრივი მონაწერისა და სხვა.

5. საზოგადოება მოვალეა იქონიოს ღვთისმსახურების ქონების საინვენტარო აღწერილობა, სადაც შეტანილი უნდა იქნას რელიგიური კულტის ყოველი ახლად შესული (შეწირულებით, სხვა ტაძრებიდან გადაცემით ან სხვა გზით) საგანი, რომელიც ცალკე მოქალაქეების კერძო საკუთრებას არ შეადგენს.

6. საზოგადოება მოვალეა, როცა ღვთისმსახურება არა სწარმოებს, შეუშვას ტაძარში აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელნი ქონების დრო გამოშვებით შესამოწმებლად და დასათვალიერებლად.

7. მიღებული ქონების დაკარგვის ან გაფუჭებისათვის საზოგადოება პასუხს აგებს სოლიდარულად, იმ ზარალის ფარგლებში, რომელიც ქონებას მოუვა.

8. საზოგადოება მოვალეა, უკეთუ საჭირო იქნება მიღებული ქონების უკანვე ჩაბარება, ჩააბაროს იგი იმ სახით, რა სახითაც მან მიიღო სასარგებლოდ და შესანახად.

9. უკეთუ საზოგადოება მოისურვებს ხელშეკრულების მოსპობას, იგი მოვალეა ამის შესახებ წერილობით აცნობოს კომიტეტს, ამასთან ამ განცხადების შეტანიდან ერთი კვირის განმავლობაში ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება და საზოგადოება პასუხს აგებს მისი აღსრულებისათვის; საზოგადოება მოვალეა აგრეთვე ამ ხნის განმავლობაში ჩააბაროს მის მიერ მიღებული ქონება.

10. საზოგადოების ყოველ წევრს, რომელსაც ხელშეკრულებაზე ხელი უწერია, შეუძლიან გავიდეს ხელშეკრულების მონაწილეთა რიცხვიდან; ამისთვის მან წერილობითი განცხადება უნდა შეიტანოს აღმასრულებელ კომიტეტში, მაგრამ ეს ვერ იხსნის გასულ პირს პასუხისმგებლობისაგან მაელი იმ ზარალისთვის, რომელიც სახალხო ქონებას მოუვიდა იმ ხნის განმავლობაში, როდესაც გასული წევრი მონაწილეობას იღებდა ამ ქონების სარგებლობაში და გამგებლობაში იმ დრომდე, ვიდრე იგი სათანადო განცხადებას შეიტანდა:

ამ ხელშეკრულების დედანი ინახება...... აღმასრულებელი კომიტეტის საქმეებში, ხოლო სათანადოდ შემოწმებული პირი გვეძლევა ჩვენ, საზოგადოების წარმომადგენელთ, რომელთაც ამ ხელშეკრულებაზე ხელი გვიწერია და რომელთაც აღწერილობით...... 1923 წ. რელიგიურის მიზნით, სასარგებლოდ მივიღეთ ღვთისმსახურების შენობაში და მათდამი დაცული საგნები.

11. უკეთუ საზოგადოება ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალეობათა შესასრულებლად არ მიიღებს ყველა შესაძლებელ ღონისძიებას, ხელშეკრულება ესე სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შეიძლება მოსპობილ იქნას; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება აშკარად იქნება დარღვეული, დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ი. ვარძიელი.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მაგ. **ტალახაძე.**

1923 წ. დეკემბრის 20.
ქ. ტფილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— შაბათს, 22 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ტფ. კომ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე მოხდება

საუბნო პარტსკოლის ხელმძღვანელთა თათბირი.

დღის წესრიგი:

1. სკოლის პროგრამა.
2. სახელმძღვანელოები.
3. მეცადინეობის მეთოდი.
4. მიმდინარე საკითხები.

მოწვეულნი არიან: ამხ. მედვედევი, გალკინი, ივანიკოვი, ლიბახი, ელისაბედაშვილი, კასატკინი, მიქაელიანი. თათარიშვილი, დუდუჩავა, ღარიბჯანოვი, სურხატიანი, თუმანიანი, მარქარიანი.

ტფილისის კომ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების
გამგე მ. ესსენი.

პროფესიული

სტუდენტ-სტიპენდიანტების საყურადღებოდ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტიპენდიანტ-სტუდენტთა გამგეობა ამით აცხადებს, რომ გასული თვის (ნოემბრის), თავიანთი ხვედრი სტიპენდია არ მიუღიათ შემდეგ პირებს: 1. არტეშელიძე ნინო (ფოთიდან), 2. ბერიძე სეიდ (ტფილისის კომიტეტიდან), 3. ჯაფარიძე (ტფ კომიტეტიდან), 4. ფირცხალავა (ტფ. კომიტეტიდან).

ზემოდ ჩამოთვლილ პირებს ევალებათ თავიანთი ხვედრი სტიპენდიის მისაღებად შემოიარონ სტ. საბჭოში, სტიპენდიანტთა გამგეობაში არა უგვიანეს 25 დეკემბრისა: წინაალმდეგ შემთხვევაში დაკარგავენ სტიპენდიის მიღების უფლებას მომავალ თვეებშიდაც და მათი სტიპენდია გადაეცემა სხვა ღარიბ სტუდენტებს.

სახელმწ. უნივ. სტიპ. გამგეობა.

განცხადებები

ანდრია მიხეილის ძე ჭყონია მეუღლით მარიამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს, რომ 23 დეკემბერს მდგომარე წლისა შუა დღის 12 საათზე ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი დედის

სოფიო გიორგის ასულის
ჭყონიასი

305-1—1

კვირას, 23 დეკემბერს 1923 წ. ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში იქნება გადახდილი ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ

იაკობ სოლომონის ძე
ღულაძისა

რასაც აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ვერა სოლომონის ასული, მარიამ ფრანცის ასული და ივანე სოლომონის ძე ღულაძენი 306-1—1

ღრმად დამწუხრებული დედა სანდა, მამა ივანე და ანტონინა ნიკოლაიშვილები აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ პანაშვიდი

ვალიკო ნიკოლაიშვილის

უდროოთ გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავად გადახდილი იქნება **კვირას 23 დეკემბერს დღის 12 საათზე** ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. უფ—1—1

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე სალომე დავითის ასული, შვილები: იასონ, ვლადიმერ, ივანე და სერგო პავლესძენი, სარა, ბაბილინა და ნინა პავლეს ასულნი, სიძეები: სილოვანი პ. ბახტაძე და პავლე ი. ლეჟავა, რძლები: ოლია ერასტოს ასული და ალექსანდრა მარკიანეს ასული, დები: მატრონა, კესარია, ნატალია და ნიფა ივანეს ასულნი, დისშვილნი: გრიშა, ნიკო და დათიკო ფარნას ძე გვაზავები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარ და ძვირფას

პავლე ივანეს ძე
ჩხენკელის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება ქ. ხონში კვირას 23 დეკემბერს ამა წლის ნაშუადღევის 3 საათზე.

792—2—2

რუსთაველის
თეატრი
ქართ. აკად. დრამა

ნის. 794—2—1

დღეს, 22 დეკემბერს
პროფკავშირის წევრთათვის
„ოიდიპოს მეფე"
ხვალ, 23 დეკემბერს
გმირი

სახელმწიფო
ოპერა

ნის. 795—4—2

დღეს, 22 დეკემბერს
1) ჯამბაზები
2) კოპელიუსის დედოფალა

23-ს კვირას—ტოსკა
25-ს სამშაბათს—დაისი

„ტრანსპორტი არსებობს მოქალაქეებისათვის და არა მოქალაქენი—ტრანსპორტისათვის".

გზათა სახალხო კომისარიატის განცხადება.

იმ მიზნით, რათა მოსახლეობა ფართოთ იქნეს ჩაბმული ბრძოლაში რკინისგზის და საზღვაო ტრანსპორტის აგენტების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა წინაალმდეგ და, რომ მოსახლეობას მიეცეს აქ აგენტების უკანონო მოქმედებათა განსაჩივრების ნამდვილი საშუალება, გარდა საჩივრების წიგნებისა, რომლებიც არსებობენ რკინისგზის სადგურებზე და ნავთსადგურებში, **გზათა სახალხო კომისარიატთან არსდება ბიურო** იმ მოქალაქეთა

საჩივრების მიღებისა

და მათი სასწრაფოთ გარჩევისათვის, რომლებმაც ტრანსპორტით სარგებლობის დროს განიცადეს უკანონო მოპყრობა ტრანსპორტის აგენტების მხრით.

გზათა სახალხო კომისარიატი ამით აუწყებს მოქალაქეებს, რომ **აღნიშნულ ბიუროს მუშაობა დაიწყება ამა დეკემბრის 21-ს** და მოუწოდებს მათ მიმართონ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში დაუყოვნებლივ ამ ბიუროს სათანადო განცხადებების შეტანით.

განცხადებებში შეძლების დაგვარათ აღნიშნული უნდა იქნეს საჩივრის დამადასტურებელი საბუთები, დასახელებულ იქნენ მოწმეები და აუცილებლათ იქნეს აღნიშნული განმცხადებლის და მოწმეების სახელი, გვარი და სწორი მისამართი.

ხელმოუწერელი განცხადებები და მომჩივნის მისამართის აღუნიშნავათ განხილული არ იქნებიან.

განმარტებები და პასუხი ყოველ საჩივრის გამო მომჩივანს ეცნობება დაუყოვნებლივ.

ბიუროს მისამართი: მოსკოვი, კომუნის ქუჩა (ყოფილი „ნ.ბასმანნაია"), № 2, ოთახი № 30.

გზათა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ სამმართველოს უფროსი **გ. ბლაგონრავოვი.** კრ. 797 1—1

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი

აცხადებს ყველა დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა საყურადღებოთ, რომ

1924 წ. 1 იანვრიდან

შეწყვეტილი იქნება ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის და რადიოს სამსახურით სარგებლობა

ნისიად

ყველა აღნიშნული ოპერაციები იწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ

ნაღდ ანგარიშზე.

ფოსტა-ტელეგრაფის სახკომისარის თანაშემწე—**ბონდარიოვი.**
საფინანსო-ეკონ. განყოფილების უფროსი—**იოანნისიანი.**

1—1

სრულიად საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის

რწმუნებულთა მე-4-ე მორიგი ყრილობა.

დღის წესრიგი:

1. კოოპერაცია და საერთაშორისო მდგომარეობა.
2. 1922 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება სარევიზიო კომისიის დასკვნით.
3. გამგეობის საინფორმაციო მოხსენება 1923 წ. მუშაობის შესახებ.
4. 1923 წ. ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
5. სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედების და ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.
6. მომავალი წლის მოქმედების გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.
7. მოხსენება ცეკავშირის წესდების შესწორების შესახებ.
8. საორგანიზაციო საკითხები.
9. არჩევნები გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა.
10. მიმდინარე საქმეები.

გამგეობა.

799—2—1

ამინდი ამიერკავკასიაში

20 დეკემბერი, დილის 7 საათი

ტემპერატ. (ცელსიით): სოხუმში... 8 გრ., ფოთში... 6 გრ., სამტრედიაში.... 5 გრ., აჯამეთში... 3 გრ., ჭიათურაში 2 გრ., ბორჯომში... 2 გრ., სურამში... 1 გრ., ტფილისში.... 2 გრ., მუკუზანში.... 2 გრ., ერევანში.... 4 გრ., ბაქოში... 7 გრ., (ქუთაისიდან და წიფიდან ცნობები არ არის).

ღრუბლიანობა: ჭიათურაში—სავსებით მოწმენდილია; ბათომში და მუკუზანში—სულ მცირე; ფოთში, ტფილისში, ერევანში, ბაქოში—საგრძნობი, დანარჩენ ადგილებში სრული.

ქარის ქროლა: სოხუმში და ჭიათურაში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მსუბუქი. ფოთში და აჯამეთში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, პირველში ზომიერი. მეორეში წყნარი. ბათომში—სამხრეთ-აღმოსავლეთის, ნელი. მუკუზანში—სამხრეთ დასავლეთის ნელი. ბაქოში—სამხრეთ-დასავლეთის, ზომიერი. დანარჩენ ადგილებში—ნელი ან სულ წყნარი.

ნალექი: მცირე სოხუმში, სამტრედიაში, [illegible] (აჯამეთში [illegible] თოვლი).

ზღვის მდგომარეობა ნაპირ: ფოთში სიწყნარეა, ბათომშ ბუქი ღელვა. ბაქოში—მსუბუ ვა (ლენქორანში—სიწყნარე).

ამინდი საქართველო

ცვალებადი ღრუბლიანობა, დასავლეთ ნაწილში მშრალი ქარი არ ქრის, დასავლეთ ალაგ-ალაგ წვიმს და თოვს.

ჩრდილოეთ-კავკასი

20 დეკემბერი, დილის 7 ს

კავკავი: ტემპერატურა... ღრუბლიანობა—საგრძნობი, სამხრეთის ნელი ქარი.

კიზლიარი: ტემპერატურა... ღრუბლიანობა—სულ მცი რის ქროლა—სამხრეთ-დას ნელი.

ტფილისი

21 დეკემბერი, დღის 1 ს
ტემპერატურა: 9 გრ.
ღრუბლიანობა: სულ მცირ ქარი არ ქრის

საქართველოს სახალხო მეურნეო
უმაღლეს საბჭოს
ლითონის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ლითონის განყოფილების სამმარ

გადავიდა

ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, № 115, 26 კომუნარის სახელ ქარხანაში.

ტელეფონი 14—51

კრ. 788 5—3. კოლეგი

საქ. სახალხო ბანკის ქუთაისის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 23 დეკემბერს, კვირას, 12 საათზე, ბანკის ბინაზე, ქ. ქუთაისში, საბჭოთა დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

„უნიონის" სისტემის დინამო-მანქანისა, მუდმივი დენის, ბორბლით, ტოტალი აღმგრით 95 მალ. დინამო, რომელიც დაგირავებული იყო რაჭის სამაზრო აღმას მიერ, იყიდება ვალდებულების 6 და 8 ზე გამოუყიდველობის გამო.

თავნი ვალი 233,49 ჩერვონეცი, რომელსაც დაერი პროცენტები და სხვა ხარჯები.

გაცნობა ვაჭრობის პირობებისა და მანქანის შეიძლება ბანკის ბინაზე, ყოველ დღე, 10—2 საათ., და კვირა-უქმისა.

778-5-5 **სახ. ბანკის ქუთაისის განყოფილება.**

საქართველოს სახსახკომის
თევზის სავაჭრო
(პუშკინის ქუჩა, ყოფილი სემინარიის შენობაში)

მოსდის ყოველ დღე ახალ-ახალი

თევზი
(ლოქო და კობრი)

თავის საკუთარი თევზის სამრეწველოებიდან.

ფასი: ბითუმათ—2 მან. ფუთი.
წვრილათ—7 კაპ. გირვ.

297 2 2

პროფესორი გ. მუხაძე

დაბრუნდა და **განაახლა** ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის პრ. № 58. 278—12—

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

[illegible]

მიხეილ გედევანიშვილის [illegible]

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible] საჭიროებენ.

სამკურნალო [illegible] **ექ. სვიმონ ყიფშიძის** [illegible] ნელობით. ტფილისი, [illegible] ქ. № 20. (126—25—

ექიმი
პ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღე ლობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზ სამმართველოს მახლობლად. 303—25—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი თამარა ბოლქვაძის სახელობაზ № 265. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 5568 1902 წ. ნიკოლოზ რიანიძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 304—1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული რკინის გზის დაზღვ ვი კასიდან № 2763 ჯანელიძე დარიას სახელობაზე. ჩაით ვალოს გაუქმებულად. უფ—1—1

„ზარია ვოსტოკას" სტამბა, საშა წულ